დაეში

GCSD TRC

თბილისი 2020

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამეწარმეო, არასამთავრობო ორგანიზაციაა. ჩვენი ძირითად მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა. მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ჩვენი ღირებულებები ეფუძნება თანასწორობის, ადამიანის თავისუფლების, პატივისცემის, ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპებს.

საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრთან არსებული ტერორიზმის კვლევის ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა და ამ ფენომენებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში არსებული ცოდნის ნაკლებობის შევსება. ცენტრი საკუთარ მისიად მოიაზრებს შექმნას იმ ტიპის პროდუქტები, რომელიც სამომავლოდ საქართველოში ხსენებული საკითხების უფრო სიღრმისეულ კვლევას შეუწყობს ხელს, ასევე დაეხმარება ამ საკითხების მოქმედ მკვლევარებსა და ამ მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებს.

ავტორი: მარიამ თოხაძე
რედაქტორები: ქეთევან სართანია, გიორგი გოგუაძე
დოკუმენტის დიზაინი: თამუნა არბოლიშვილი

წინამდებარე კვლევაში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის პოზიციას. ცენტრის წერილობითი თანხმობის გარეშე დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

*წინამდებარე დოკუმენტი ტერორისტულ ორგანიზაცია **„ისლამურ სახელმწიფოს“** მოიხსენიებს არაბული აკრონიმით **დაეში**, რადგან დაჯგუფების მიერ თვით იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული **„ისლამური სახელმწიფო“** გულისხმობს ლეგიტიმურ სახელმწიფოებრივ ერთეულს. ამ ტერმინის გამოყენება კი, თავის მხრივ, ამ მისწრაფების ვალიდაციას ახდენს.*

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს წარმოადგინოს დაეშის, მაქსიმალურად, ყოვლისმომცველი მიმოხილვა. დოკუმენტი ეყრდნობა ღია წყაროებს, კერძოდ, აკადემიურ კვლევებს, საერთაშორისო არასამთავრობო თუ კვლევითი ინსტიტუტების ანგარიშებს და სხვადასხვა პერიოდში, მსოფლიო მედიაში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ ბარათებსა და სტატიებს.

დოკუმენტი დაყოფილია ხუთ თემატურ ნაწილად:

- **ნაწილი პირველი** - პირველი ნაწილი დაყოფილია ორ ძირითად თავად: ისტორია და ორგანიზაციული მოწყობა. თავი წარმოადგენს დაჯგუფების განვითარების ისტორიას 2004 წელს, მისი დაარსებიდან დღემდე, ასახავს მის ტერიტორიულ გადაადგილებას, სტრატეგიულ, ტაქტიკურ და მეთოდურ ცვლილებებს სამხედრო წარმატებისა და წარუმატებლობის პირობებში. აქვე, მიმოხილულია, სხვადასხვა დროს, დაჯგუფების შემოსავლის წყაროებიც; ბოლოს განმარტებულია დაეშის ორგანიზაციული მოწყობა.

- **ნაწილი მეორე -** მეორე ნაწილი დაყოფილია ორ ძირითად თავად: იდეოლოგიური საფუძვლები და დაეშის იდეოლოგია. იგი მოკლედ განმარტავს განსხვავებას ისლამის ორ ძირითად მიმართულებას შორის (შიიზმი და სუნიზმი), რის შემდეგაც კი, ახსნილია პოლიტიკური ისლამიზმის მიმდინარეობა და ისლამის სალაფიტური განშტოება, რომელიც დაჯგუფების იდეოლოგიის ძირითად მამოძრავებელ ძალას წამოადგენს. ამავე ნაწილში მიმოხილულია
  ალ-კაიდასთან შედარებით დაჯგუფების მთავარი იდეოლოგიური და მეთოდური განსხვავებები;

- **ნაწილი მესამე -** მესამე ნაწილი დაყოფილია ორ ძირითად თავად: სამხედრო ოპერაციები და ტერორიზმი; სამხედრო ოპერაციების თავში დაეშის მიერ გამოყენებული ტაქტიკა და მეთოდები განხილულია სამი სხვადასხვა ოპერაციის მაგალითზე. შემდეგ კი მიმოხილულია დაეშის ტერორისტული ქმედებები

- **ნაწილი მეოთხე -** მეოთხე ნაწილი შედგება ერთი თავისგან, რომელიც დაეშის ნარატივს, პროპაგანდასა და საინფორმაციო ოპერაციებს შეეხება;

- **ნაწილი მეხუთე -** მეხუთე ნაწილი ეთმობა ე.წ. უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საკითხს, მათ შორის, განხილულია ქალი მებრძოლების თემა.

ნაწილი პირველი
ისტორია

წინამდებარე თავში დაჯგუფების სახელი გამოყენებულია მისი ისტორიულ/ქრონოლოგიური ცვლილებების შესაბამისად.

2004-2010 ზარკავი და დაეშის საწყისები

თანამედროვე **დაეშის** პირველი ჩანასახი 2004 წელს, სუნიტური შეიარაღებული დაჯგუფების სახით, ერაყის ტერიტორიაზე შეიქმნა, სახელით **ალ-კაიდა ერაყში** (AQI). დაჯგუფება იორდანელმა **აბუ მუსაბ ალ-ზარკავიმ** (აჰმად ფადჰილ ნაზალ ალ-კალაია) დააარსა. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ალ-ზარკავი კრიმინალი იყო, რომელმაც მოახერხა ანტი-სახელმწიფოებრივი და ანტი-შიიტური ძალადობის გზავნილების გარშემო გაეერთიანებინა მხარდამჭერები. მისი მსოფლმხედველობა, დიდწილად, ინსპირირებული იყო 90-იანი წლების სალაფიტი მქადაგებლის **აბუ მუჰამედ ალ-მაქდისის** სწავლებებით. 2004 წელს, ზაქრავის დაჯგუფებამ **ბაიათი** (ერთგულების ფიცი) ცენტრალურ **ალ-კაიდას** და მის ხელმძღვანელ **ოსამა ბინ ლადენს** შეჰფიცა. ამ დროისთვის, დაჯგუფების ტაქტიკა, ძირითადად, დაბომბვებს, ხელნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს, ადამიანთა გატაცებას და თავის მოკვეთას მოიცავდა. მისი ძირითადი სამიზნე ერაყში მყოფი კოალიციური ძალები და განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები იყო. მოგვიანებით, სამიზნე შიიტური უმრავლესობით დაკომპლექტებული მთავრობა და შიიტური მოსახლეობა გახდა, რამაც ცხადყო დაჯგუფების სექტარიანული სტრატეგია.

2006 წელს, ალ-ზარკავი ერთ-ერთი დაბომბვის დროს დაიღუპა. აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა მისი გვამის ფოტო გამოაქვეყნა, რამაც მხარდამჭერთა თვალში ზარკავის, როგორც **შაჰიდის** (წმინდა მოწამის) სტატუსი გაამყარა და ახალი ძალა მისცა AQI-ს ბრძოლას. იგი **აბუ ომარ ალ-ბაღდადიმ** შეცვალა. ამ დროისთვის შეინიშნებოდა ცენტრალური ალ-კაიდას, კერძოდ, მისი ლიდერის, **აიმან ალ-ზაუაჰირის** გავლენა, რაც გამოიხატებოდა სექტარიანული ტენდენციების და განსაკუთრებული სისასტიკის კლებაში.

ერაყში, 2006 წელს, პარალელურად, ორი სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა. ერთი კოალიციური ჯარების წინააღმდეგ, მეორე კი სექტარიანული სამოქალაქო ომი ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს შორის. ამ დროს შეიცვალა აშშ-ს სტრატეგია ერაყის ომთან მიმართებაში და დაიწყო ე.წ. **სუნიტური გამოღვიძების** კამპანია, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა კოალიციურ ძალებთან ერთად ბრძოლისთვის სუნიტი ლიდერების გადაბირება. ამ სტრატეგიის მიხედვით, გადაბირებული სუნიტური ჯგუფები კოალიციურ ჯარებსა და შიიტურ მთავრობასთან ერთად, იმ სუნიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ იბრძოლებდნენ, რომლებიც დაპირისპირებას განაგრძობდნენ. სწორედ ამ დროს მოხდა ზარკავის მიერ შექმნილი დაჯგუფების სახელის პირველი ცვლილება. ალ-კაიდა ერაყში გადაკეთდა **ისლამურ სახელმწიფოდ ერაყში** (ISI), რაც სტრატეგიულ ნაბიჯს წარმოადგენდა საკუთარი თავის იმ ძალებისგან გამოსაყოფად, რომლებიც კოალიციურ ძალებს და შიიტურ მთავრობას შეუერთდნენ (Stern, Berger, 2016) .

2010: აბუ ბაქრ ალ ბაღდადი და დაეშის გაძლიერება

ალ-ზარკავის სიკვდილის შემდეგ, დაჯგუფებისთვის წარუმატებელი პერიოდი დაიწყო. ვითარება 2010 წელს შეიცვალა, როდესაც სათავეში მოვიდა **აბუ ბაქრ ალ ბაღდადი** (იბრაჰიმ აუად იბრაჰიმ ალ-ბადრი ას-სამარრაი). ბაღდადის ცხოვრებაზე სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს. ცნობილია, რომ ის სალაფიტურ ოჯახში დაიბადა და ქალაქ ბაღდადის ისლამურ უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი ისლამურ კულტურასა და შარიათის კანონებში. ზოგი წყაროს თანახმად,

ბაღდადი წინასწარმეტყველი მუჰამედის ე.წ. **ქურიაშის** ტომის შთამომავალია, რაც შესაძლოა ISI-ს მიერ მისი ხელმძღვანელად არჩევის ერთ-ერთი საფუძველი გამხდარიყო. მიიჩნევა, რომ ბაღდადიმ ჯიჰადის გზა 2003 წლის ერაყის ომის დაწყებისას აირჩია, რა დრომდეც იგი მშვიდ, არაფრით გამორჩეულ ცხოვრებას ეწეოდა. ბაღდადის ახასიათებდნენ როგორც ჩუმ, პასიურ ადამიანს, რომელიც არავითარ პოტენციალს არ ამჟღავნებდა (Stern and Berger, 2016). ცნობილია, რომ ბაღდადი სასჯელს იხდიდა ამერიკულ სამხედრო ციხე **ბუკკაში**, თუმცა ზუსტი ინფორმაცია დროსთან დაკავშირებით არ არსებობს. უდავოა, რომ ციხეში გატარებული დროის მანძილზე მოხდა ბაღდადის უფრო ღრმა რადიკალიზაცია. შედეგად, გათავისუფლების შემდეგ, 2010 წელს, იგი იდეალური კანდიდატი გახდა ISI-სთვის. დაჯგუფებას ესაჭიროებოდა რელიგიურად განსწავლული პირი. ამ თვალსაზრისით ბაღდადი ალ-კაიდას ისეთ ლიდერებსაც კი აღემატებოდა, როგორიც იყო ოსამა ბინ ლადენი, რომელსაც ბიზნესის ადმინისტრირება ჰქონდა შესწავლილი და აიმან ალ-ზაუაჰირი, რომელიც პროფესიით ქირურგი იყო (Stern and Berger, 2016). 2010 წლის მაისში, ბაღდადი გახდა ISI-ის ლიდერი და აქტიურად შეუდგა მის აღორძინებას.

მიუხედავად ფუნდამენტური განსხვავებებისა, დაიწყო ალიანსის მშენებლობა ყოფილ **ბაათისტებთან**. ბაათიზმი ერაყის პრეზიდენტის, **სადამ ჰუსეინის** სეკულარული მმართველობის პლატფორმას წარმოადგენს, რაც ერთი შეხედვით პირდაპირ ანტითეტურია როგორც დაეშის, ისე ალ-კაიდას იდეოლოგიასთან. თუმცა, ყოფილი ბაათისტები, რომელთა უმრავლესობაც ჰუსეინის მთავრობის უმაღლეს მმართველ რგოლში იყვნენ, კრიტიკული მნიშვნელობის გახდნენ ISI-ის აღმშენებლობისთვის. ყოფილმა ბაათისტებმა დაიკავეს დაჯგუფების უმაღლესი რანგებიც (აბუ მუსლიმ ალ-თურქმანი ბაღდადის მოადგილე გახდა, აბუ აიმან ალ-ირაქი კი, სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე).

2010-2011 წელს, ერაყში, შესამჩნევი გახდა დაჯგუფების შეცვლილი ტაქტიკა - გაათკეცებული სისასტიკე და კოორდინირებული სუიციდური შეტევები. 2012 წლისთვის, ბაღდადიმ იმდენად გააძლიერა დაჯგუფება, რომ მან ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, საჯაროდ განაცხადა ოპერაცია **კედლების ნგრევის** შესახებ, რომელიც ერაყის ციხეებში დაპატიმრებული მხარდამჭერებისა და ჯიჰადისტების გათავისუფლებას ემსახურებოდა. მომდევნო ერთი წლის მანძილზე ბაღდადის დაჯგუფებამ სულ 8 ციხეზე მიიტანა იერიში და ასობით გამოცდილი ჯიჰადისტი გაათავისუფლა (New York Times, 2014).

2011: სირიის კონფლიქტი

ზოგი წყაროს თანახმად, სირიის კონფლიქტის დასაწყისში, ბაღდადი ეწინააღმდეგებოდა ამ ფრონტზე მისი ძალების ჩართვას, თუმცა არსებული მდგომარეობა იდეალურ საშუალებას იძლეოდა გაფართოებისთვის. საბოლოოდ, ბაღდადიმ სირიაში გაგზავნა ჯგუფი **აბუ მუჰამედ ალ-ჯაულანის** (ზოგ დოკუმენტში **გოლანი**) მეთაურობით, რომელიც მალევე გახდა დაჯგუფება **ჯაბჰათ ალ ნუსრას** ლიდერი. მომდევნო წლის მანძილზე ჯაბჰათ ალ ნუსრამ თავი დამოუკიდებელ ორგანიზაციად დაიმკვიდრა. იგი სირიაში მებრძოლ სხვა ჯგუფებთან შედარებით, დიდ დაფინანსებას და შეიარაღებას ფლობდა. ამგვარად, ჯაბჰათ ალ-ნუსრა სირიის ფრონტზე ძლიერდებოდა, ISI კი - ერაყში. ამავე პერიოდში დაიწყო განხეთქილება ცენტრალურ ალ-კაიდასა და ბაღდადის დაჯგუფებას შორის.

2013: განხეთქილება

2013 წელს, ბაღდადიმ ჯაბჰათ ალ-ნუსრა თავის დაქვემდებარებულად გამოაცხადა, გაფართოებულ ორგანიზაციას **ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში** (ISIS) დაარქვა და თავი მის ერთპიროვნულ ლიდერად გამოაცხადა. განცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც ალ-ნუსრას ფრონტისთვის, ისე ცენტრალური ალ-ქაიდასთვის, რის საპასუხოდაც ჯაულანიმ საჯაროდ დაადასტურა მისი და მისი დაჯგუფების ერთგულება ზაუაჰირისა და ცენტრალური ალ-კაიდას მიმართ. ზაუაჰირიმ დაგმო ბაღდადის ერთპიროვნული გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ დაჯგუფებები კვლავინდებურად გააგრძელებდნენ დამოუკიდებელ ოპერირებას ერაყსა და სირიაში. ამ განცხადებას ღიად დაუპირისპირდა ბაღდადი და ჯიჰადისტურ არხებზე გავრცელებულ

აუდიო მიმართვაში დაადასტურა, რომ იგი განაგრძობდა ჭეშმარიტად ისლამური სახელმწიფოს მშენებლობას. ISIS-მა უკომპრომისო ბრძოლა გამოაცხადა და სირიაში მოქმედი სხვა დაჯგუფებების წინააღმდეგ ომში ჩაება. 2014 წლის 2 თებერვალს, ცენტრალურმა ალ-კაიდამ ფორმალურად მოკვეთა ბაღდადის დაჯგუფება საკუთარი ორგანიზაციიდან. ცენტრალურ ალ-კაიდასა და ბაღდადის დაჯგუფებას შორის AQI-ს დროიდან არსებობდა განსხვავებები და უთანხმოებები როგორც ტაქტიკურ, ისე იდეოლოგიურ საკითხებში, თუმცა ყველა განსხვავება ორგანიზაციის შიგნით გვარდებოდა. განხეთქილებიდან ძალიან მალე, ბაღდადის დაჯგუფებამ მოკლა **აბუ ხალედ ალ-სური**, რომელიც ზაუაჰირის პირადი ემისარი იყო სირიაში. 2014 წლისთვის ბაღდადის დაჯგუფების ძალაუფლება უდავო იყო, რაზეც ისიც მეტყველებდა, რომ მან სრულად დაიპყრო სირიაში რაქას პროვინცია, ის სირიაში საკუთარ დედაქალაქად გამოაცხადა და იქ დაჯგუფების უცხოელი მებრძოლები დაასახლა.

2014: დაეშის აღზევება

2014 წლისთვის, **ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში** მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია გახდა. ზოგი წყაროს თანახმად, ორგანიზაცია დღეში ერთიდან სამ მილიონამდე ამერიკული დოლარის გენერირებას ახდენდა (BBC, 2018). დაჯგუფების შემოსავლის წყაროს დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობაზე დაკისრებული გადასახადები, ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების არალეგალური გაყიდვა და ნავთობით ვაჭრობა წარმოადგენდა. ორგანიზაციამ ეფექტურად გამოიყენა ე.წ. „შავი ბაზარი“ და კონტრაბანდული მარშრუტები, რამაც ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის არსებული მეთოდები თითქმის გამოუსადეგარი გახადა. ამავდროულად, ორგანიზაციის ბიუჯეტში მძევლების გათავისუფლების მოტივით გადახდილი თანხებით მილიონები შედიოდა.

2014 წლის, ივნისში ISIS-მა მოსული (ერაყი) დაიპყრო. გამარჯვება მოულოდნელი აღმოჩნდა თავად დაჯგუფებისთვისაც. მას ხელი შეუწყო ერაყის ჯარის მიერ უკან დახევამ. მიიჩნევა, რომ ჯარის უმაღლესი მეთაურების ამგვარი ქმედების მიზეზი კორუფცია და სექტარიანული განწყობები გახდა. 29 ივნისს, დაჯგუფების სპიკერმა **აბუ მუჰამედ ალ-ადნანიმ** ისტორიული განცხადება გააკეთა - დაფუძნებულად გამოცხადდა **სახალიფო**. ემირი ალ-ბაღდადი გამოცხადდა **ხალიფ იბრაჰიმად**, რის შემდეგაც მსოფლიომ პირველად იხილა მისი სახე მოსულის **ალ ნურის** მეჩეთის ცნობილი ქადაგების დროს. დაჯგუფების განცხადება პირდაპირი დარტყმა იყო როგორც ზაუაჰირის, ისე **მულა ომარის** ავტორიტეტზე, რომელიც **თალიბანის** ლიდერი იყო და აქამდე უპირობო ამირ **ალ-მუნინად** (მორწმუნეთა წინამძღოლი) მიიჩნეოდა. განცხადება, ასევე, ემსახურებოდა სირიასა და ერაყში მებრძოლი სხვა დაჯგუფებებიდან მებრძოლების გადაბირებას. ამ დროს განხორციელდა დაჯგუფების სახელის ფინალური და ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცვლილება. ამ მომენტიდან ორგანიზაციის ოფიციალური სახელი გახდა **ისლამური სახელმწიფო**, რამაც ხაზი გაუსვა და ლეგიტიმაცია შესძინა არსებულ ჯგუფს და მის ტერიტორიას როგორც პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ ერთეულს.

სახელის ამ სიმბოლური დატვირთვის გამო მრავალი მუსლიმი და განსაკუთრებით დასავლური სახელმწიფო ინსტიტუტები ერიდებიან მის გამოყენებას და სანაცვლოდ ტერმინ **დაეშს** (დაულა ალ ისლამია ფილ ირაქ უა აშ-შამ) იყენებენ. ამ უკანასკენლის ხშირ გამოყენებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ იგი განსაკუთრებით აღიზიანებს დაჯგუფების ხელმძღვანელ პირებს და მხარდამჭერებს. აკრონიმი *დაეშ* ჟღერს როგორც არაბული სიტყვები *დაეს* (გამანადგურებელი) და *დაჰეს* (განხეთქილების შემტანი), რაც თავად დაჯგუფების მოსაზრებით შეურაცხმყოფელია (Stern and Berger, 2016) . ამასთანავე აკრონიმის სრული ვერსია (*დაულა ალ ისლამია ფი ირაკ უა აშ-შამ)* არაბულიდან ითარგმნება, როგორც ისლამური სახელმწიფო ეყარსა და სირიაში, რაც დაჯგუფების სტატუსს და არასახელმწიფოებრივ ბუნებაზე მიუთითებს.

აღმავლობის პერიოდში, ზოგი ვარაუდის მიხედვით, დაეშის კონტროლის ქვეშ 10 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა (BBC, 2018). ე.წ. სახალიფოს ტერიტორიაზე მრავალი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა მოექცა. ამ დროს დაიწყო აშშ-ს საჰაერო დაბომბვა ერაყის სამთავრობო ჯარებისა და ქურთული *პეშმერგა* ძალების მხარდაჭერით. 2014 წელსვე, დაეშის წინააღმდეგ

კოალიციაში ჩაერთო საფრანგეთი, ავსტრალია, კანადა, გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, იორდანია, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, თურქეთი, კატარი და გაერთიანებული არაბული ემირატები. 2019 წლისთვის კოალიციაში 81 სახელმწიფოა ჩართული. მისი მანდატი ხუთი პუნქტისგან შედგება: 1. კონფლიქტის ზონაში დაეშისგან გათავისუფლებული ტერიტორიების სტაბილიზაცია; 2. დაეშის პროპაგანდასთან ბრძოლა; 3. დაეშის სრული სამხედრო და პოლიტიკური განადგურება; 4. უცხოელი ტერორისტი მებრძოლების გადაადგილების შეზღუდვა; 5. დაეშის დაფინანსების წყაროების შეზღუდვა. კოალიციის ფარგლებში პირველი საჰაერო რეიდი ჩატარდა 2014 წლის 22 სექტემბერს. საპასუხოდ დაეშმა გააათკეცა ძალადობა და სისასტიკე. სწორედ ამ დროს დაიწყო ინტერნეტ სივრცეში განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული საჯარო ეგზეკუციების ამსახველი ვიდეოების განთავსება. პარალელურად, გრძელდებოდა აგრესიული ტერიტორიული გაფართოება, დაპყრობილ ტერიტორიაზე კი მკაცრი თეოკრატიული მართვა მყარდებოდა.

დაეშისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელი იყო 2 ქალაქი, კერძოდ, **რაქა** (სირია) და **მოსული** (ერაყი).

რაქა

ქალაქი რაქა დაეშმა 2014 წლის 14 იანვარს დაიპყრო. დაეშისთვის მის დაპყრობას ჰქონდა როგორც სტრატეგიული, ისე სიმბოლური მნიშვნელობა. რაქა სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე ევფრატის ჩრდილოეთ სანაპიროზე მდებარეობს. ომის დაწყებამდე მისი მოსახლეობა 220 488 ადამიანს შეადგენდა (მოსახლეობის აღწერა, 2004), მის უმრავლესობას კი სუნიტური ტომები წარმოადგენდნენ. ქალაქში ასევე იყვნენ ქრისტიანული და ქურთი ეთნიკურობის უმცირესობები.

2013 წელს, რაქა ჯერ ალ-ნუსრას ფრონტმა და **სირიის თავისუფალმა არმიამ** (FSA) დაიპყრო, ხოლო შემდეგ ის დაეშის კონტროლქვეშ მოექცა და სახალიფოს დედაქალაქად გამოცხადდა. ამ ნაბიჯით ბაღდადიმ ხაზი გაუსვა საკუთარ მისწრაფებას აბასიდების იმპერიის აღდგენასთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ისლამის ე.წ. ოქროს ხანის დროს (796-809) აბასიდური დინასტიის ყველაზე წარმატებულმა ხალიფამ, **ჰარუნ არ-რაშიდმა** იმპერიის დედაქალაქი ბაღდადიდან სწორედ რაქაში გადაიტანა. ბაღდადი თავს აბასიდური იმპერიისა და ხალიფას სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს და გადადგმული ნაბიჯით, მან სწორედ ამ სტატუსს გაუსვა ხაზი.

რაქას სიმბოლურის გარდა, სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს - ტერიტორია მდიდარია ნავთობით, რაც ფინანსური მოგების თვალსაზრისით, ზრდის მის მნიშვნელობას. ამასთან, რაქა ახლოს არის ერაყის სახელმწიფო საზღვართან, რაც ფრონტის საჭიროებიდან გამომდინარე ამარტივებს ორ სახელმწიფოს შორის უპრობლემო გადაადგილებასა და ოპერირებას.

 დაეში რაქას სამი წელი აკონტროლებდა. ამ პერიოდში **RAND Corporation-მა** ჩაატარა სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების სატელიტური ინფორმაციის კვლევა (www.rand.org), რომელიც ფოკუსირებულია 5 ინდიკატორზე, კერძოდ: ელექტროენერგიის მოხმარება, მოსახლეობის რაოდენობა, სოფლის მეურნეობა, შენობა ნაგებობების არსებობა და საბაზრო აქტივობა. ანალიზმა აჩვენა, რომ დაეში სტაბილურად ინარჩუნებდა ქალაქის ეკონომიკური ცხოვრების საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს. ამავე კვლევის თანახმად, ქალაქიდან მოსახლეობის გადინება, მხოლოდ, 2016 წლის ზაფხულიდან შეინიშნება, რასაც თავად RAND რამდენიმე შესაძლო ფაქტორით ხსნის: 1. მოსახლეობა კმაყოფილი იყო დაჯგუფების მმართველობით; 2. მოსახლეობას ეშინოდა ქალაქის დატოვება; 3. გადინების პირველი ნაკადი დაემთხვა დაეშის საწყის შეტევებს და ხალხის რაოდენობა მებრძოლებმა ჩაანაცვლეს, რამაც გავლენა იქონია კვლევის შედეგზე.

რაქასთვის გადამწყვეტი ბრძოლა 2017 წლის 6 ივნისში დაიწყო და სირიის შეიარაღებული ძალების გარდა, მასში ჩართული იყო აშშ-ს მიერ შექმნილი კოალიციური ძალებიც. რაქას გათავისუფლება 17 ოქტომბერს მოხდა. გაერო-ს მონაცემებით, ქალაქის 80% განადგურდა.

მოსული

მოსული ერაყის ყველაზე მსხვილი სუნიტური ქალაქია. იგი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ნინევეს გუბერნიაში მდებარეობს. ტრადიციულად, აღნიშნულ ტერიტორიას ერაყის ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, თუმცა ის გარშემორტყმულია ქურთისტანის ავტონომიის მიერ კონტროლირებული ტერიტორიით. დაპყრობამდე, მოსულში 664 221 მოსახლე ცხოვრობდა (data.un.org).

ქალაქს დაჯგუფებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მისი ეკონომიკა დაჯგუფების მიერ კონტროლირებად ნებისმიერ სხვა ქალაქზე უკეთესად იყო განვითარებული. აქ თავმოყრილი იყო საწარმო და ინდუსტრიული სექტორები, საერთაშორისო აეროპორტი. ამასთან, ქალაქის ტერიტორიაზე მდინარე ტიგროსი იყოფა 2 შტოდ, რაც ხელმისაწვდომს ხდის სტრატეგიულ სანაოსნო და სავაჭრო გზებს. ქალაქი ახლოს არის სირიის საზღვართან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დაეშისთვის საბოლოო მიზნის (ერაყი-სირიის საზღვრის გაუქმება) მისაღწევად. შესაბამისად, მისი დაპყრობა სტრატეგიულად ყველაზე დიდი მონაპოვარი იყო.

დაეშმა 6 დღეში სრულად აიღო მოსული (4-10 ივნისი 2014). 2014 წლის მანძილზე დაეში სტაბილურად მიიწევდა წინ ერაყის ტერიტორიაზე და მიუხედავად ერაყის ჯარის წინააღმდეგობისა, იანვრის თვეში, დაეშმა მარტივად აიღო ფალუჯა და ჰიიტი, რითიც, თითქმის, სრული კონტროლი დაამყარა ანბარის პროვინციაზე.

მოსულის დაპყრობის შემდეგ, დაეშმა ერთგვარი საჯარო სტრუქტურა ჩამოაყალიბა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ისეთ სერვისებზე, როგორიცაა ელექტროენერგია, წყალმომარაგება და მშენებლობა. ოფიციალურმა ბაღდადმა ქალაქს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. მიუხედავად ამისა, RAND Corporation-ის ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალაქის ეკონომიკა საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებდა აქტიურ ხასიათს და კომერციული აქტივობაც ახლოს იყო დაპყრობამდე არსებულ საშუალო მაჩვენებლებთან.

დაეშის მიერ, 6 დღეში აღებული ქალაქის გათავისუფლებას 9 თვე და 4 დღე დასჭირდა (16 ოქტომბერი 2016 – 20 ივლისი 2017). პროცესში ჩართული იყო ერაყის შეიარაღებული ძალები, სუნიტური და შიიტური დაჯგუფებები, ქურთისტანის პეშმერგას ჯარი და საერთაშორისო კოალიციური ძალები. 16 ოქტომბერს გაერთიანებულმა ძალებმა სამი წერტილიდან შეუტიეს დაეშს. მომდევნო წლის 9 ივლისს, ერაყის პრემიერი მოსულში ჩავიდა და 10 ივლისს გამარჯვების შესახებ განაცხადა.

გარდა სტრატეგიულ-პრაქტიკული მნიშვნელობისა, მოსულის აღებას კოალიციური ძალებისთვის სიმბოლური მნიშვნელობაც ქონდა - ის არა მხოლოდ დაეშის სამხედრო მარცხზე მიუთითებდა, არამედ ზარკავისეულ სახალიფოზე ყველაზე მნიშვნელოვან დარტყმას ახდენდა. ზარკავის ხედვის სახალიფო მოსულით იწყებოდა, შესაბამისად, მოგვიანებით, ალ-ბაღდადიმაც ამ დატვირთვის გამო აირჩია მოსული, ხოლო ხალიფას რანგში პირველი ქადაგების აღსრულებისთვის - ისტორიული ალ-ნურის მეჩეთი. სწორედ მოსულის ტერიტორიაზე გამარჯვება იყო უკიდურესად მნიშვნელოვანი, რადგან ამ გზით განხორციელდა ზომიერი ან პოტენციური მხარდამჭერების აღქმაში დაეშის ლეგიტიმურობაზე დარტყმა.

***

დაეში ტერიტორიულ დაპყრობებს, ფინანსური მიმზიდველობის გათვალისწინებით, სტრატეგიულად თვლიდა. როგორც აღინიშნა, გარკვეულ პერიოდში, დაეში მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ტერორისტული ორგანიზაცია გახდა. ფინანსური პიკის დროს, 2015 წელს, დაეშმა ბიუჯეტის აღრიცხვისას 2 მილიარდი აშშ დოლარის ხარჯი და 250 მილიონი აშშ დოლარის ნაშთი

(BBC, 2016) დააფიქსირა. აშშ-ს ხაზინის გათვლით, მხოლოდ ნავთობის გაყიდვა დაეშს წლიურად 550 მილიონი აშშ დოლარის მოგებას აძლევდა. ამას გარდა, დაეშის შემოსავლის წყაროს მოსახლეობაზე დაკისრებული გადასახადები, კერძო საკუთრების კონფისკაცია, დაპყრობილ ტერიტორიაზე საკვების რეზერვუარების და ბანკების დარბევაც წარმოადგენდა. დაეში ბეგრავდა დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრები საჯარო სექტორში მომუშავე პირების ხელფასს, რომელიც მათ ერაყის ცენტრალური მთავრობიდან ერიცხებოდათ. ამასთანავე, გაერო-ს ვარაუდით გატაცებული ადამიანების გამოხსნისთვის გადახდილი თანხებით დაეშმა, დამატებითი 45 მილიონი აშშ დოლარი მიიღო.

დაეშის ფინანსური უზრუნველყოფის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ფარგლებში საერთაშორისო კოალიციამ ნავთობის გადამამუშავებელი ობიექტები და ფულის რეზერვები დაბომბა. ამასთან, ერაყის მთავრობამ დაეშის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე არსებული თანამშრომლებისთვის ხელფასების ჩარიცხვა შეწყვიტა. ერაყის ცენტრალურმა ბანკმა და საერთაშორისო ფინანსურმა საზოგადოებამ ამ ტერიტორიაზე არსებული ბანკები საერთაშორისო საბანკო სისტემიდან მოკვეთა.

2019 წლისთვის, დაეშმა სამხედრო მარცხი განიცადა და აღარც მისი პროტო-სახელმწიფოებრივი ერთეული არსებობს, თუმცა აღნიშნული მის სრულ დასასრულს არ გულისხმობს. როგორც **Foreign Policy** (2018) წერდა, დაჯგუფება უბრუნდება ტერორისტული ორგანიზაციის სახეს და შეინიშნება ის მეთოდები, რომლებსაც ალ-ქაიდა 2014 წლამდე მიმართავდა. დაჯგუფება საკმაოდ გამძლეა და ახერხებს ახალ რეალობასთან ადაპტირებას. დაჯგუფებამ შექმნა და დატოვა პასიური ტერორისტული ერთეულები, რომლებიც ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებენ.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს დაჯგუფების უნარი, მოახდინოს ადაპტირება, ერთი მხრივ არსებულ გამოწვევებზე, მეორე მხრივ კი - თანამედროვე შესაძლებლობებზე. უკანასკნელ პერიოდში გავრცელებული ინფორმაციით დაეში სრულიად ახლებურად უდგება საკუთარი საქმიანობის დაფინანსების საკითხსაც. კერძოდ, 2018 წლის ივნისში ბრიტანული **Daily Mail-**ის ცნობით დაეში მხარდამჭერებს მოუწოდებდა შეეძინათ ისეთი პროგრამების სასაჩუქრე ვაუჩერები როგორიცაა Apple-ის მუსიკალური პლატფორმა iTunes და Google Play. სქემის მიხედვით, მხარდამჭერების მიერ შეძენილი ვაუჩერების კოდს დაეში შავ ბაზარზე ყიდის და ამ გზით იღებს შემოსავალს. აღნიშნული, დაჯგუფების ცალსახად თანამედროვე და მოქნილ ბუნებაზე მიუთითებს.

ორგანიზაციული მოწყობა

ცალსახად იმის მტკიცება, თუ როგორი სტრუქტურა ჰქონდა დაეშს, მით უმეტეს, მისი სამხედრო მარცხის შემდეგ რთულია. როგორც აკადემიურ ნაშრომებში, ისე მედიაში, ორგანიზაციული მოწყობის სხვადასხვა სქემებია გავრცელებული. ცნობილია, რომ დაეშს ე.წ. **ხალიფა** ხელმძღვანელობს და განსაზღვრავს დაჯგუფების განვითარების სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც შემდგომ იერარქიულად გადაეცემა შესაბამის საბჭოებს. სხვადასხვა სქემებში განსხვავებები, ძირითადად, საბჭოების იერარქიულ ჯაჭვს შეეხება. საბჭოები პასუხისმგებელნი არიან დაჯგუფების სამხედრო და ადმინისტრაციულ მოწყობაზე. ისინი, ასევე, ხალიფას საკონსულტაციო ორგანოებს წარმოადგენენ, ზედამხედველობენ სტრატეგიულ დაგეგმვას, სამხედრო ოპერაციებს და სამოქალაქო ადმინისტრირებას.

შურას საბჭო უმაღლესი საკონსულტაციო საბჭოა, რომელიც ამტკიცებს ხალიფას მიერ დანიშნულ ნებისმიერი თანამდებობის პირს. ამასთანავე, შურას საბჭომ უნდა მოიწონოს ხალიფას მემკვიდრის კანდიდატურა შარიათის საბჭოს არჩევანის საფუძველზე. ამავე საბჭოს აქვს თეორიული უფლება მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ხალიფა გადააყენოს დაკავებული თანამდებობიდან.

შარიათის საბჭო დაეშის ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე დანაყოფია და მისი თავმჯდომარე თავად ხალიფაა. შარიათის საბჭოს მოვალეობაა ხალიფას მემკვიდრის შერჩევა. მას აქვს ერთგვარი სამართალდამცავი ორგანოს ფუნქცია, რომლის ფარგლებში იგი უზრუნველყოფს სხვა დანაყოფების მიერ შარიათის კანონების (საკუთარი ინტერპრეტაციის) დაცვას.

გამომდინარე დაეშის მისწრაფებიდან, გახდეს ლეგიტიმური სახელმწიფო-პოლიტიკური ერთეული, მისი ორგანიზაციული სტრუქტურაც იმგვარად არის მოწყობილი, რომ მაქსიმალურად შეასრულოს მოწყობის თვალსაზრისით ისლამური სახელმწიფოს ფუნქცია. ამ კონტექსტში, ისლამურია სახელმწიფო, რომელსაც შარიათის კანონი უდევს საფუძვლად და სამოქალაქო ცხოვრების განმსაზღვრელ რეგულაციებს განაგებს.

დაეშს საკუთარი კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორია პროვინციებად ჰქონდა დაყოფილი. თუმცა, პროვინციულ მმართველებში ხშირი იყო გადაადგილება, რაც, უმთავრესად, ცენტრალური მმართველობის გარდა ძალაუფლების მქონე ერთეულების შექმნას გამორიცხავდა. ყოველ პროვინციას ასევე ჰქონდა ადმინისტრაციული მიმართულება (უსაფრთხოება, სამართალდამცავი სტრუქტურები, რელიგიური განათლება, ტომური საკითხები) და სერვისების მიმართულება (ინფრასტრუქტურა, ენერგო მომარაგება, წყალმომარაგება, დასუფთავება, სასოფლო-სამეურნეო და საირიგაციო სისტემები, გზების კეთილმოწყობა). დაეშს სრულად ჰქონდა მონოპოლიზებული ყველა საჯარო სერვისი, რაც მას მოსახლეობის კონტროლის შესაძლებლობას აძლევდა. მოწინააღმდეგეების გამოსავლენად და გადაცდომების აღმოსაფხვრელად დაეშმა შექმნა უსაფრთხოების ძლიერი აპარატი, რომელსაც ინფორმატორთა ქსელი ჰქონდა. ნათელია, რომ ამ მხრივ დაეში ავტორიტარული სახელმწიფოს ყველა მახასიათებელს ატარებდა. დროთა განმავლობაში, ამ ფაქტორმა დაეშს იმ ხალხის ნდობაც დააკარგვინა, რომელთაც საწყის ეტაპზე, დაჯგუფება კორუმპირებული/მანკიერი ხელისუფლებების ალტერნატივად მიიჩნია. მალე, ტერიტორიის დატოვება დაიწყეს პროფესიული კლასების წარმომადგენლებმა და დაეშის პროტო სახელმწიფო მასწავლებლების და ექიმების, ასევე საჯარო მართვის სპეციალისტების გარეშე დარჩა. სწორედ ამიტომ, 2014 წლის ივლისში, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ გაავრცელა მიმართვა, რომელშიც მოუწოდებდა „*მეცნიერებს, მკვლევარებს, მქადაგებლებს, მოსამართლეებს, ექიმებს, ინჟინრებს, ასევე ადამიანებს საჯარო მართვისა და სამხედრო გამოცდილებით*“, რომ ჩასულიყვნენ პროტო სახელმწიფოში და მის კონსოლიდაციაში მიეღოთ მონაწილეობა.

ინდოქტრინაციისა და მოტივაციისთვის რელიგიური დოგმების ექსპლუატირება დაეშის ადმინისტრირების განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ, შარიათის საბჭოები, როგორც „სახელმწიფო“, ისე „პროვინციულ“ დონეებზე, სტრუქტურული ადმინისტრირების ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლებია. ამასთანავე, დაეშის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული ჰქონდა ინდოქტრინაციისთვის შესაბამისი განათლების მნიშვნელობა. იმ იშვიათ შემთხვევებში, სადაც განათლება რაიმე სახით ნარჩუნდებოდა, ისწავლებოდა მხოლოდ მკაცრად ისლამური საგნები, კერძოდ: *აქიდა* (რწმენა), *ფიქჰი* (ისლამური იურისპრუდენცია) და *სირა* (წინასწარმეტყველი მუჰამედის ცხოვრება), რაც მიუთითებს დაეშის ძალისხმევაზე, მოეხდინა მომავალი თაობის სრული ინდოქტრინაცია.

ნაწილი მეორე
იდეოლოგიური საფუძვლები

დაეშს ჩამოყალიბებული და გაცხადებული იდეოლოგიური პლატფორმა აქვს. დაეში არის **ისლამისტური** დაჯგუფება, რომელიც სუნიტური ისლამის სალაფიტური/ვაჰაბიტური განშტოების რადიკალურ იდეებზეა აღმოცენებული და მიილტვის შექმნას სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური მოწყობის ტიპი იქნება ისლამისტური თეოკრატია. ის რელიგიურ ფუნდამენტალისტური მოტივებით მამოძრავებელი დაჯგუფებაა, რომელიც საკუთარ ურთიერთობა-დამოკიდებულებას მტრებსა და მხარდამჭერებთან, გარკვეული რელიგიური მოსაზრებების მანიპულირების გზით წარმართავს. ამ იდეოლოგიური ბაზის ჯეროვანი ანალიზის გარეშე, შეუძლებელია იმის გაგება, თუ როგორ ახდენს დაჯგუფება მხარდაჭერების მობილიზებას.

სუნიზმი და შიიზმი

შიიზმი და სუნიზმი ისლამის ორი ძირითადი განშტოებაა, რომელიც ანტაგონისტურ ძალებს წარმოადგენს და ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია. აღნიშნულ დაპირისპირებას თეოლოგიური უთანხმოებები უდევს საფუძვლად.

განხეთქილება ორ მიმდინარეობას შორის, წინასწარმეტყველი **მუჰამედის** გარდაცვალებას მოჰყვა და ის, ძირითადად, მისი მემკვიდრის საკითხს უკავშირდებოდა, რომელთან დაკავშირებითაც, გარდაცვალებამდე, მუჰამედს მითითებები არ გაუცია. მუსლიმთა ერთი ნაწილი, რომელმაც **სუნიტურ** ისლამს ჩაუყარა საფუძველი, მიიჩნევდა, რომ ხალიფა უნდა იქნეს არჩეული მისი უნარების და ღირსების გათვალისწინებით. აღნიშნული ჯგუფი ხალიფად მუჰამედის დიდიხნის მეგობრის, **აბუ ბაქრის** არჩევას ემხრობოდა. აბუ ბაქრი მუჰამედის ცოლის მამა იყო, თუმცა მათ შორის სისხლით ნათესაური კავშირი არ არსებობდა. შესაბამისად, მისი მხარდამჭერებისთვის მთავარი არა სისხლით ნათესაობა, არამედ აბუ ბაქრის თვისებები და ღირსება იყო. მეორე ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ახალი მემკვიდრე მუჰამედის სისხლით ნათესავი უნდა ყოფილიყო და **იმამი** გამხდარიყო. ამ ჯგუფისთვის, რომელიც შიიტური ისლამის წინამორბედი გახდა, წინასწარმეტყველის სამართალმემკვიდრედ მისი ბიძაშვილი, **ალი იბნ აბი ტალიბი** მიიჩნეოდა. მაშასადამე, ხალიფა ლეგიტიმაციას იღებს მისი ამომრჩევლებისგან საკუთარი უნარებისა და დამსახურების გამო, ხოლო იმამი ლეგიტიმაციას - ღმერთისგან, მუჰამედთან სისხლით ნათესაობით იძენს. იმამები, რომლებიც ალის შთამომავლებად ითვლებიან, შიიტების სრული ნდობით სარგებლობენ და მიიჩნევა, რომ მათ აქვთ წვდომა ყურანის საიდუმლო მნიშვნელობასთან. შესაბამისად, მათ განმანათლებლებს, ღმერთსა და მოკვდავ ადამიანებს შორის შუამავლების ფუნქცია აკისრიათ. მიმდინარეობებს შორის არსებობს მეთოდური განსხვავებებიც, რომლებიც რელიგიური ინსტიტუტების სტრუქტურას და ლოცვის წესებს უკავშირდება.

თანამედროვე ეპოქაში, ამ ორ მიმდინარეობას შორის არსებული დაპირისპირება ისევ პოლიტიკური ხასიათისაა და ძალაუფლებას უკავშირდება. შიიტური ისლამის პოლიტიკურ ცენტრად **ირანი**, სუნიტურის კი - **საუდის არაბეთი** მიიჩნევა. სწორედ აქ გადის რეგიონისთვის მახასიათებელი სექტარიანული პოლიტიკის გამყოფი ხაზი. ახლო აღმოსავლეთში არსებულ შიდა კონფლიქტებს, ხშირად, საფუძვლად უდევს ერთ-ერთი მიმდინარეობის წარმომადგენელი ხელისუფლების მხრიდან მეორე მიმდინარეობის აღმსარებელი მოსახლეობის შევიწროვება. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სირია, რომელშიც შიიტური უმცირესობის წარმომადგენელ, **ალავიტურ** (ალავიტები შიიტური ისლამის ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ) ოჯახს წინ აღუდგა სუნიტური მოსახლეობა.

ისლამიზმი

ისლამიზმი არის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ლეგიტიმაციას ისლამის ნარატივებიდან და ინტერპრეტაციებიდან იღებს. ისლამიზმის მიზანია მუსლიმური სახელმწიფოების იმგვარად რეორგანიზაცია, რომ მოხდეს მათი ჰარმონიზება იმ ნორმებთან, ღირებულებებთანდა ინსტიტუტებთან, რომლებიც ჭეშმარიტად ისლამურად მიიჩნევა (Mahood and Rane, 2017).

თანამედროვე ისლამიზმის (რომელსაც, ხშირად, პოლიტიკურ ისლამსაც უწოდებენ) აღზევება, გასული საუკუნის 60-იან წლებში, არაბული ნაციონალიზმის მარცხთანაა დაკავშირებული, როცა **ექვსი დღის ომში** ისრაელმა ეგვიპტე, სირია და იორდანია დაამარცხა. ეგვიპტეში დაარსებული **მუსლიმთა საძმოს** ლიდერების **ჰასან ალ-ბანასა** და **საიდ კუთბის**, ასევე პაკისტანის **ჯამაათ-ისლამის** დამფუძნებლის, **აბდულ ა'ლა მაუდიდის** იდეებზე დაფუძნებით, ისლამიზმმა ფეხი მოიკიდა მუსლიმურ სამყაროში და დაიწყო ამ თემის მსოფლმხედველობის განსაზღვრა. ისლამისტური იდეების გავრცელებას ხელი შეუწყო სპარსეთის ყურის ქვეყნების ეკონომიკის ზრდამ, ხოლო ნავთობით ვაჭრობით მიღებული შემოსავალი მოხმარდა ამ იდეების გავრცელების ინსტიტუციურ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისლამიზმისთვის დამახასიათებელი ძალადობა, ცალსახად, სარწმუნოებით განპირობებული არ არის. მუსლიმ თემში ძალადობრივი ექსტრემიზმი გამოხატულია ისეთი ტერორისტული დაჯგუფებების ქმედებებში, როგორიცაა ალ კაიდა და დაეში. ისინი მიისწრაფიან შარიათის კანონის საკუთარი ინტერპრეტაციით დამკვიდრებისკენ. ისლამიზმის მიზანია მკაცრი სოციალური წყობის დაწესება პირადი უფლებებისა და თავისუფლებების ხარჯზე, ასევე, მკაცრად გამიჯნული და განსაზღვრული გენდერული ნორმების დაცვით, თუმცა - არა აუცილებლად ძალადობის გზით. შესაბამისად, ძალადობრივი ექსტრემიზმი ისლამიზმის უკიდურესი ფორმაა. ის იდეოლოგიური ნარატივები, რომლებიც ექსტრემისტულ დაჯგუფებებს ახასიათებთ, ხშირად, ცნობილია რიგითი მუსლიმისთვის, თუმცა ისინი ძირითად შემთხვევაში წარმოადგენენ ისლამის ავთენტური სწავლების ინტერპრეტაციას, რომელიც ამა თუ იმ დაჯგუფების ინტერესზეა მორგებული და მათი მიზნების მისაღწევად სახელდახელოდ არის შექმნილი.

სალაფიზმი და ვაჰაბიზმი

ტერმინები სალაფიზმი და ვაჰაბიზმი, ხშირად, ერთმანეთის მონაცვლეობით გამოიყენება და თანამედროვე აკადემიურ სივრცეში ნაკლებად შეინიშნება ერთსულოვნება იმაზე, თუ რამდენად გვაქვს საქმე ორ განსხვავებულ ანალიტიკურ კატეგორიასთან.

სალაფიზმი სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობაა, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს განსხვავებული პოზიციების მქონე არაერთ ქვე მიმდინარეობას სოციალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზესალაფიზმის თეორიული საწყისი **ტაქი ალ-დინ აჰმად იბნ ტამიმიას** სახელს უკავშირდება. ტამიმია მონღოლთა დაპყრობების, ბაღდადის დაცემის და აბასიდთა უკანასკნელი ხალიფას მკვლელობის დროს ცხოვრობდა. ეს იყო სახალიფოს ქვეშ გაერთიანებული რეგიონის ინტელექტუალური და სამხედრო ზეობის დასასრული. ტამიმია მიიჩნევდა, რომ აღნიშნული, ისლამის გარყვნის ბრალი იყო და რწმენის საწყისებთან დაბრუნების აუცილებლობას ქადაგებდა. სალაფიტური მიმდინარეობის ძირითადი არსი მართლმორწმუნე წინაპრების (*ალ-სალაფ ალ-სალიჰ*) მიბაძვით ცხოვრებაა. მართლმორწმუნე წინაპრებში, წინასწარმეტყველი მუჰამედის გარდა, მისი უშუალო გარემოცვა და მუსლიმთა პირველი ორი თაობა იგულისხმება, რომლებმაც სარწმუნოების შესახებ უშუალოდ წინასწარმეტყველისა და მისი უახლოესი თანამოაზრეებისგან ისწავლეს (Duderija, 2007).

მიუხედავად იმისა, რომ სალაფიტები, ზოგადად, მიისწრაფვიან წინასწარმეტყველი მუჰამედის მიბაძვისკენ, უშუალოდ სალაფიტური პრაქტიკა განსხვავდება რეგიონებს, ქვეყნებს და ცალკეულ მქადაგებლებს შორის (Byman and Gold, 2012). ისტორიულად, ტერმინ სალაფიზმის პირველადი გამოყენება არ უკავშირდებოდა არავითარ რელიგიურ მიმდინარეობას. ტერმინში იგულისხმება ის დამოკიდებულება, რომელიც მართლმორწმუნე წინაპრების შემდგომ თაობებს ქონდათ, რადგან

ცხოვრების სტილის თვალსაზრისით, ისინი ყველაზე ახლოს იყვნენ ყურანისა და წინასწარმეტყველის სწავლებებთან. შესაბამისად, სალაფიზმი გარკვეულწილად წარსულის მომავალში რეალიზების მცდელობაა (Duderija, 2007).

სალაფიზმი სამ პირობით მიმდინარეობად იყოფა: *პურისტული, პოლიტიკური* და*ჯიჰადისტური* (Wiktorowicz, 2005). მეთოდოლოგიურად ვაჰაბიზმთან ყველაზე ახლოს სალაფიზმის ჯიჰადისტური ფრთაა.

სალაფიზმი *თავჰიდის* (ღმერთის ერთობის) კონცეფციაზეა დაფუძნებული, რაც მას მონოფიზიტურ ჩარჩოში აქცევს. თავჰიდს სამი კომპონენტი აქვს, რომლის ზედმიწევნით დაცვაც აუცილებელია ჭეშმარიტი მუსლიმისთვის. კერძოდ:

ღმერთი არის სამყაროს ერთადერთი შემოქმედი და მმართველი;

ღმერთი არის უზენაესი და ერთადერთი ღვთაება, რომელიც არც მახასიათებლებს, არც ძალაუფლებას არ იზიარებს სხვა არსებებთან (ყურანში ალაჰი ერთადერთ კანონშემოქმედად მოიხსენიება, რაც გამორიცხავს ადამიანში კანონშემოქმედების უნარის, თუ უფლების დაშვებას. თავჰიდის ამგვარი განმარტების გამო სალაფიზმი სეკულარულ მმართველობას უარყოფს და გამორიცხავს სარწმუნოების და სახელმწიფოს გაყოფას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს საერო კანონების უზენაესობას ღვთიურ კანონებზე);

ლოცვა და თაყვანისცემა მხოლოდ ალაჰის სახელზეა დაშვებული (აკრძალულია ლოცვა სხვა რელიგიური ფიგურების მიმართ).

მისი ბუნებიდან გამომდინარე, სალაფიზმისთვის მიუღებელია ყველანაირი ინოვაცია. ამასთანავე, მიიჩნევა, რომ სარწმუნოებაში ინოვაციები ტერიტორიული გაფართოების და სხვადასხვა კულტურების შეთვისების შემდეგ შეიჭრა. შესაბამისად კულტურა ჭეშმარიტი სარწმუნოების საწინააღმდეგოა. მაშასადამე, სალაფიზმის მიზანია ერთგვარი „დეკულტურაცია“ და ისლამის პრაქტიკის საწყის ნორმებთან დაბრუნება (Wiktorowicz, 2005).

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სალაფიზმი საკმაოდ ახლოს არის ვაჰაბიზმთან. ვაჰაბიზმი ხასიათდება როგორც “ისლამის ყველაზე პატრიარქალური და ექსკლუზიური მიმდინარეობა” (El Fadl, 2003:49). ვაჰაბიზმი მეთვრამეტე საუკუნის პროდუქტია და **მუჰამედ იბნ ალ ვაჰაბის სახელს უკავშირდება.** ვაჰაბიზმი ტამიმიას ნაშრომებით არის ინსპირირებული, თუმცა სწორედ ალ ვაჰაბს ეკუთნის სალაფიზმში განსაკუთრებით მკაცრი ნორმების შეტანა. ვაჰაბს ისლამის ძალიან ვიწრო და მკაცრი ინტერპრეტაცია ჰქონდა და ყველა განსხვავებულ აზრს მკრეხელობად მიიჩნევდა. ისლამის განწმენდის მიზნით ვაჰაბი შეუერთდა **მოჰამედ ბინ საუდს**, რომელიც ალ საუდის დინასტიის ფუძემდებელი იყო. იმ დროიდან, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების განმავლობაში ალ საუდის დინასტია და ვაჰაბიტები არაბეთის ნახევარ კუნძულზე მცხოვრები ხალხის ერთი რელიგიური და პოლიტიკური მმართველობის ქვეშ გაერთიანებას ცდილობდნენ.

სწორედ ამის შედეგია საუდის არაბეთის სამეფოს ჩამოყალიბება, რომლის ხელისუფლებაც დღემდე მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჰაბიტურ მიმდინარეობასა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან.

ვაჰაბიზმს ახასიათებს ანტი-რაციონალური და ანტი-ინტელექტუალური მიდგომა ადამიანური ყოფისა და ღვთაებრივი კანონების მიმართ. ყურანსა და სუნას ვაჰაბიტები პირდაპირი მნიშვნელობით და ზედმიწევნით აღიქვამენ, რაც გამორიცხავს ნაწერის ადამიანური ინტერპრეტაციის ან კონტექსტუალიზაციის შესაძლებლობას.

ვაჰაბიზმის ერთმნიშვნელოვნად მტრული დამოკიდებულება ეხება არა მხოლოდ ისლამური რწმენის გარეთ არსებულ ე.წ. „სხვებს“, არამედ განსხვავებული აზრის ან პრაქტიკის მქონე მუსლიმებსაც (შიიტები, სუფიტები). შესაბამისად, ვაჰაბიზმი მიილტვის სარწმუნოების ამგვარი მიმდინარეობებისგან განწმენდისკენ.

როგორც აღინიშნა, სალაფიზმში გამოარჩევენ სამ მიმდინარეობას: *პურისტული*, *პოლიტიკური* *დაჯიჰადისტური*. მოცემული დოკუმენტისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სალაფიზმის ჯიჰადისტური განშტოება, რომელიც ემხრობა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას ისლამური სახელმწიფოს დაფუძნების მიზნით. აღნიშნული ფრთა ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის დროს შეიქმნა. სწორედ ამ კონფლიქტის დროს სხვადასხვა ეროვნების სალაფიტები გაეცნენ **მუსლიმთა საძმოს** (ეგვიპტეში, ჰასან ალ-ბანას მიერ შექმნილი ტრანსნაციონალური ისლამისტური ორგანიზაცია) იდეოლოგიას. ჯიჰადისტური სალაფიზმი ხუთ ძირითად პრინციპზეა აგებული: *ჯიჰადი* (საღმრთო ომი), *თავჰიდი* (ღმერთის ერთობა), *ჰაქიმიია* (ჭეშმარიტად ისლამური მმართველობა), *ალ-უალა უალ-ბარა* (საღმრთო ჭეშმარიტების ერთგულება და პოლითეიზმის უარყოფა), *ტაქფირი* (ურწმუნოთა მოკვეთა) (Maher, 2016).

სალაფიტურ განშტოებებში, ხშირია უთანხმოება თაქფირის პრინციპთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც მუსლიმი შეიძლება ურწმუნოდ და მკრეხელად გამოცხადდეს. ძირითადი უთანხმოება თავად რწმენის ფენომენს უკავშირდება. მუსლიმებში ძირითადად დამკვიდრებული აზრია, რომ რწმენა მოიცავს როგორც რწმენის გონებრივ ნაწილს, ისე ქმედებებს, რომელიც ისლამის სწავლებებთანაა თანხვედრაში. თუ ადამიანს სწამს ისლამის, ის რჩება მუსლიმად. თუ მისი ქმედებები არ არის თავსებადი ისლამის სწვალებებთან, ადამიანი ცოდვილია; ისლამიდან ადამიანის მოკვეთა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აღარ სწამს, შესაბამისად ის ხდება მკრეხელი და სასჯელი სიკვდილია (Wiktorowicz, 2005). ამ მიმართულებით ისტორიულად ორი დამოკიდებულება არსებობდა: *ხაუარიჯი*, რომლითაც მიიჩნევა, რომ თაქფირის გამოცხადება ადამიანებს შეუძლიათ და *მურჯია*, რომლითაც მიიჩნევა, რომ მუსლიმისთვის თაქფირის გამოცხადება მხოლოდ ალაჰს შეუძლია. სალაფიტები პოზიციონირებას ამ ორ მოსაზრებას შორის ახდენენ, კერძოდ: ერთი მხრივ, ისინი არ ეთანხმებიან მურჯიას იმ არგუმენტს, რომ სარწმუნოების საზომი ქმედებები არ უნდა იყოს; მეორე მხრივ, ისინი ეწინააღმდეგებიან ხაუარიჯის მიერ თაქფირის დაუდევარ გამოყენებას. ნიშანდობლივია, რომ დაეში თაქფირის ხაუარიჯისეულ გამოყენებას ემხრობა.

ბაათიზმი

ტერმინი ბაათიზმი არაბული სიტყვა და *ბაათიდან* მოდის, რომელიც აღზევებას, აღორძინებას ნიშნავს. ბაათიზმი არაბული ნაციონალისტური იდეოლოგიაა, რომელიც ერთიანი არაბული სახელმწიფოს შექმნისკენ ისწრაფვის. ის პან-არაბიზმის, არაბული სოციალიზმის და სეკულარიზმის პრინციპებზეა შექმნილი. ბაათისტები არაბული საზოგადოებისა და კულტურის აღორძინებას ცდილობენ. ისინი ემხრობიან ერთპარტიულ მმართველობას და გამორიცხავენ პოლიტიკურ პლურალიზმს. ბაათისტურ წყობაში უპირატესობა ენიჭება სოციალისტურ ეკონომიკას, თუმცა, ამავდროულად, აღნიშნული იდეოლოგია ეწინააღმდეგება კერძო საკუთრების სრულ კონფისკაციას. ისტორიულად ბაათიზმი მხოლოდ ერაყსა და სირიაში არსებობდა და ეს ფორმა კლასიკური ბაათიზმისგან განსხვავებით, ავტორიტარული ელემენტების სიმრავლით გამოირჩეოდა.

დაეშისთვის ბაათისტებთან ალიანსს სტრატეგიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაზე ნათლად ბაათისტების როლი დაეშის სამხედრო წარმატებებში ჩანს და იგი განხილულია სამხედრო სტრატეგიის თავში.

დაეშის იდეოლოგია

სახალიფო

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი რელიგიური და პოლიტიკური მიმდინარეობები ახდენენ გავლენას დაეშის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე და შემდგომ ქმედებებზე. ჩამოთვლილთაგან, ყველაზე თვალშისაცემია დაეშის ალიანსი ბაათისტებთან. ამ მოძრაობის ძირითადი იდეა - პან-არაბული სახელმწიფო, რომელიც არაბების, როგორც ეთნიკური ჯგუფის გაერთიანებისკენ მიილტვის - პირდაპირ ეწინააღმდეგება დაეშისეული სახალიფოს ხედვას.

დაეშისეული სახალიფოს მიზანია გააერთიანოს სხვადასხვა ეროვნების თუ ეთნიკური მიკუთვნების მუსლიმები. შესაბამისად, ამ ხედვის თანახმად *მუსლიმი* არის ის იდენტობა, რომელიც ყველა სხვა მახასიათებელს და ნიშანთვისებას მეორეხარისხოვანს ხდის. აღნიშნულს საფუძვლად უდევს ისლამური *უმმას* კონცეფცია. სიტყვა უმმა სულიერ და რელიგიურ საზოგადოებას ნიშნავს და გამოიყენება „მუსლიმი ერის“ კონოტაციით. უმმა აერთიანებს ნებისმიერი წარმომავლობის მუსლიმ ადამიანებს. დაეშისთვის ეთნიკურ-ნაციონალური მიკუთვნება კულტურულ მიკუთვნებასაც გულისხმობს, კულტურა კი უპირველესად ისლამში მანკიერების შემტანად განიხილება. შესაბამისად, ეთნიკური ნიშნით გაერთიანება დაეშის მიზნებისგან რადიკალურად განსხვავდება. სწორედ ამით აიხსნება დაეშის მისწრაფება ჩამოაყალიბოს სახელმწიფო-პოლიტიკური ერთეული, რომელშიც მმართველობის პლატფორმა იქნება ისლამი. აღნიშნული ნათელს ჰფენს დაჯგუფების მიერ არჩეულ სახელსაც - სახელწოდება „ისლამური სახელმწიფო“ მისთვის არა დასახელებას, არამედ სახელმწიფოს ტიპს უკავშირდება.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი

დაეში პოზიციონირებას ჯიჰადისტური სალაფიზმის ჩარჩოში ახდენს. იგი სრულიად უკომპრომისოა სარწმუნოების დოქტრინალურ საკითხებთან მიმართებაში და გამორჩეულად აგრესიულია, თავად ჯიჰადისტ სალაფიტურ ორგანიზაციებს შორისაც კი.

დაეში, ისლამის, საკმაოდ ვიწრო გაგებით გამოირჩევა. დაჯგუფების ლიტერატურა და განცხადებები ცალსახად ადგენენ შემდეგს:

ჭეშმარიტია, მხოლოდ დაეშის მიერ, ვიწროდ ინტერპრეტირებული ისლამი;

შეჭმარიტი მუსლიმები მხოლოდ ამ ტიპის ისლამს უნდა მიჰყვნენ;

მმართველობა, რომელიც ზედმიწევნით არ მიჰყვება ყურანის სწავლებებს, ურწმუნოების ტოლფასია;

„დაეშის“ წინააღმდეგ ბრძოლა (ანუ იმ პოლიტიკური ერთეულის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც ისლამური მმართველობის პლატფორმაზეა დაშენებული) მკრეხელობაა;

ყველა შიიტი მუსლიმი მკრეხელია და სიკვდილს იმსახურებს.

ჯიჰადი

დაეში განსხვავდება **ჯიჰადის** წარმოების სტილითაც. სიტყვა ჯიჰადი, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მცდელობას, ემსახურო ღმერთს ამქვეყნიურ სიცოცხლეში. ზოგ შემთხვევაში, ჯიჰადი არის ინდივიდუალური ძალისხმევა, გახდე ან იყო კარგი ადამიანი, ზოგ შემთხვევაში კი, ჯიჰადი ბრძოლის ველზე ომს ნიშნავს. სულიერ ჯიჰადს *დიდებულ ჯიჰადს* ეძახიან, შეიარაღებულს კი - *მცირე ჯიჰადს* (Ramadan, 2017). ჯიჰადის მილიტარიზებული ღონისძიებები, ძირითადად, მანკიერი ხელისუფლებების ჩამოშლას უკავშირდება. ტრადიციულად, ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორიცაა ალ კაიდა, ე.წ. **თავდაცვით ჯიჰადს** აწარმოებდნენ. თავდაცვითი ჯიჰადის ცნება 80-იანი წლებში, ავღანეთის ომის დროს გაჩნდა. კერძოდ, არამუსლიმი ძალის მიერ, ისლამური სახელმწიფოს ოკუპირება მორალურად ავალდებულებდა თითოეულ მუსლიმს ჩართულიყო მის დაცვაში. შესაბამისად, თავდაცვითი ჯიჰადი გამართლებულია გარე ძალისგან თავდაცვის მიზნით და მასში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა მუსლიმისთვის. დაეში თავდაცვითის გარდა, ე.წ. **თავდასხმით ჯიჰადსაც** აწარმოებს, რაც *შირკის* (უღირსის გაღმერთების ცოდვა) ამოძირკვის ვაჰაბიტური ტრადიციიდან მომდინარეობს. საკუთარ გამოსვლებში, ალ-ბაღდადი ხშირად უსვამს ხაზს თავდასხმითი ჯიჰადის საჭიროებას. „დაეშის“ თავდასხმითი ჯიჰადი, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ შიიტებზეა მიმართული, რაც გარდა თეოლოგიური განსხვავებებისა, რეგიონში მათი გაფართოების აღკვეთას ემსახურება.

დამოკიდებულება შიიტების მიმართ

ანტი-შიიტური განწყობა დაეშს ზარკავის დროიდან მოსდევს. ზარკავი შიიტებს ა.შ.შ.-ზე საშიშ საფრთხედ მიიჩნევდა ერაყში. „მას შემდეგ რაც ჯვაროსნები {ამერიკელები} გაქრებიან, ხვალ ან ზეგ, შიიტები, სუნიტების ახლო და საშიში მტერი, დარჩებიან. მათგან მომდინარე საფრთხე და ზიანი უფრო დიდია და უფრო გამანადგურებელი {ისლამური} ერისთვის, ვიდრე ამერიკელები“ (ზარკავი, „რისალა“ 64-65) - წერდა ზარკავი შიიტებზე. შიიტების წინააღმდეგ სისასტიკეს აკრიტიკებდა როგორც ზაუაჰირი, ისე აბუ მუჰამედ ალ-მაქდისი, რომელსაც ზარკავი იდეოლოგიურ წინამძღოლად მიიჩნევდა. ეს უკანასკნელნი თვლიდნენ, რომ შიიტები ცოდვას უცოდინრობის გამო ჩადიოდნენ, რაც მათი მოკვლის მიზეზს არ წარმოადგენს.

ალ კაიდა და დაეში : ძირითადი განსხვავებები

ალ კაიდასა და დაეშს გააჩნიათ განსხვავებული მოსაზრებები ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა მტრები, სტრატეგია, ტაქტიკა და მიზნები. შესაბამისად, მათგან მომდინარე საფრთხეც განხვავდება. 2015 წლის აპრილში, ბრუკინგსის ინსტიტუტის მკვლევარმა და ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორმა, დენიელ ბაიმანმა ა.შ.შ.-ის კონგრესის უსაფრთხოების კომიტეტს წარუდგინა ანალიტიკური ანგარიში, რომელშიც დაეშსა და ალ კაიდას შორის არსებული ძირითადი განსხვავებები მიმოიხილა.

მტრები

მიუხედავად იმისა, რომ ალ-კაიდა ახლო აღმოსავლეთში არსებულ მანკიერ რეჟიმებს მოიაზრებს მტრებად და მათ მკრეხელებად მიიჩნევს, ორგანიზაცია მოწინააღმდეგედ და მთავარ მტრად ამერიკის შეერთებულ შტატებს ხედავს. ერთი მხრივ, დაჯგუფების მიზანია ზემოთ ხსენებული რეჟიმების ჭეშმარიტად ისლამური მთავრობებით შეცვლა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში არსებული პრობლემების ძირითად მიზეზად, ალ-კაიდა, ა.შ.შ.-ს აღიქვამს. ალ-კაიდას მიზანია იქამდე განახორციელოს შეტევები შტატების ინტერესებზე, სანამ ეს ძალა სრულად არ გავა ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან. დაეში „შორეული მტრის“ იდეით ნაკლებად არის დაინტერესებული და ძირითადი ძალისხმევა ადგილობრივი მკრეხელური რეჟიმების დესტაბილიზაციასა და მოშორებაზე აქვს მიმართული. მისი ძირითადი სამიზნე სირიაში ასადის რეჟიმი, ხოლო ერაყში, აბადის მთავრობაა.

შიიტები

დაჯგუფებების დამოკიდებულება განსხვავდება შიიტი მუსლიმების მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ორგანიზაცია მათ მკრეხელებად მიიჩნევს, დაეშის მიერ გამოვლენილ სისასტიკეს ალ-კაიდა მიუღებლად და ჯიჰადისტური მიზნებისთვის საზიანოდ მიიჩნევს.

სტრატეგია და მიზნები

საკუთარი მიზნების მისაღწევად ალ-კაიდა არაერთ სტრატეგიას მიმართავს. აღნიშნული დაჯგუფება ცნობილია ფართომასშტაბიანი, „სანახაობრივი“ შეტევებით სტრატეგიულ და სიმბოლურ სამიზნეებზე. მათი ერთ-ერთი მიზანი არის სხვა ჯიჰადისტური დაჯგუფებებისთვის როგორც ძალის დემონსტრირება, ისე მხარდამჭერების მონუსხვა. თუმცა, მთავარი მიზანი მაინც ა.შ.შ.-ის იძულებაა დატოვოს რეგიონი. აღნიშნული მოდელი დაფუძნებულია ლიბანიდან შტატების მიერ ჯარის გაყვანის პრეცედენტზე, როდესაც **ჰეზბოლამ** სამხედრო ბაზა და საელჩო დაბომბა. დაეშის ძირითადი სტრატეგია ტერიტორიის დაპყრობას და კონტროლის დამყარება-გაფართოებას უკავშირდება. აღნიშნულით, დაეში ცდილობს შექმნას სახელმწიფოს ისეთი მოდელი, რომელშიც ჭეშმარიტი მუსლიმები ისლამის კანონების ქვეშ იცხოვრებენ, რაც, თავის მხრივ, მათ ლეგიტიმაციას ახდენს და ხელს უწყობს მუსლიმებში მათ მიმართ მხარდაჭერის გაღვივებას. თუმცა, გარდა იდეოლოგიისა, მათი სტრატეგიული გათვლა შემდეგია: დიდი ტერიტორიის კონტროლი ჯარის შექმნის საშუალებას იძლევა, ჯარი კი მეტი ტერიტორიის დაპყრობის ხელსაწყოა.

ძალადობა

დაპყრობილ ტერიტორიაზე დაეში სასტიკი მეთოდებით ოპერირებს (საჯარო ეგზეკუციები, ჯვარცმები, გაუპატიურება და თავის მოკვეთა). ამ ყოველივეს მიზანი საზოგადოების „განწმენდაა“. ცნობილია, რომ ალ-კაიდა ერთმნიშვნელოვნად უპირისპირდება ამგვარ სისასტიკეს. ალ-კაიდასთვის ძალადობის ძირითადი დანიშნულება ახლო აღმოსავლეთში მკრეხელი ხელისუფლებების დამხობა და მათ მხარდამჭერ საერთაშორისო ძალებთან (ა.შ.შ.) ბრძოლის მეთოდია. ალ-კაიდასთვის ძალადობა არის მიზნის მიღწევის საშუალება, დაეშისთვის კი მიზანი.

ამ მიმართულებით საინტერესოა ჯესიკა სტერნის და ჯეი.ემ. ბერგერის (2016) ანალიზი. ალ-კაიდა ჯიჰადისტური მოძრაობების ინტელექტუალურ ბირთვად მიიჩნევა. მისი იდეოლოგია თანმიმდევრული და დეტალურად კონსტრუირებულია. იდეოლოგიის ცენტრში საკუთარი იდენტობის ჯგუფის დაცვაა. ჭეშმარიტად ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება ალ-კაიდასთვის გრძელვადიან გეგმას წარმოადგენს. ისტორიულად მისი პროპაგანდა ორიენტირებული იყო საერთო სატკივარის გარშემო ხალხის გაერთიანებაზე და შემდგომ რადიკალიზაციაზე. როგორც სტერნი და ბერგერი წერენ, ბოსნიის კონფლიქტში ალკაიდას ბევრი მებრძოლისთვის „რადიკალიზაცია იყო არა ბრძოლის მიზეზი, არამედ მისი შედეგი“ (2016:193). სწორედ ამიტომ, ალკაიდას მიერ ინსპირირებული მარტოხელა ტერორისტები, ე.წ. მარტოხელა მგლები (Lone wolves), ძირითად შემთხვევაში, სამიზნედ სამხედრო ან სამთავრობო ობიექტებს ირჩევენ, რაც მათთვის გარკვეულ წილად ლეგიტიმურ ძალადობას წარმოადგენს.

თანმიმდევრული იდეოლოგია დაეშსაც აქვს. მისი პროპაგანდა საკუთარ თავში აერთიანებს როგორც უკიდურესი ძალადობის ამსახველ მასალას, ისე უტოპიური, ბედნიერი საზოგადოების ამსახველ სურათებს. ის სრულიად ახალი ფორმულით ახდენს ძალადობის, სტაბილურობისა და ადამიანური ღირსების ამსახველი ვიზუალის შერწყმას, რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის მხარდამჭერთათვის. დაეში ერთმნიშვნელოვნად პოპულისტურია თავის მოწოდებებში - მისი რიგები ყველასთვის ღიაა და იგი აქტიურად ახდენს საკუთარი ძალის პროექციას. „იდენტობაზე დაფუძნებული ექსტრემიზმი ხშირად მოიცავს „განწმენდის“ თემებს, თუმცა ISIS-ის გზავნილი თავად ექსტრემიზმის განწმენდაა. აღარავითარი თავდაცვითი მეთოდების რაციონალიზაცია. სანაცვლოდ - შურისძიება. აღარავითარი სისუსტე. სანაცვლოდ - აგრესია, შოკური ძალადობა და ძალის დემოსნტრაცია. აღარავითარი თაობათა ბრძოლა სახალიფოს აღდგენისთვის. სახალიფო აქ არის და ახლა“ (სტერნი და ბერგერი, 2016:194-195). დაეშისგან გასხვავებით ალ-კაიდას იდეოლოგია და იდენტობა დაფუძნებული იყო იდეალიზირებული მომავლის აღქმაზე. სახალიფოს შექმნა რეალურ მიზნად არასდროს განიხილებოდა. ალ კაიდას-ამ პასიური მხარის საპირწონედ, დაეშის ენერგიული და აგრესიულად ექსპანსიური მეთოდები მხარდამჭერებში სიძლიერის აღქმას უწყობს ხელს და იზიდავს მათ მრავალათასიან ნაკადს.

ნაწილი მესამე
სამხედრო ოპერაციები და ტერორიზმი

დაეშზე ფიქრისას მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ თავად დაჯგუფება, საკუთარ თავს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ სახელმწიფოდ მიიჩნევდა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, მისთვის მთავარი იყო ტერიტორიული გაფართოება, რასაც ომის წარმოების სხვადასხვა მეთოდები სჭირდება. განსხვავებით ალ-კაიდასგან, დაეშისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი ფრონტი იყო, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ სირია-ერაყის საზღვრებს გარეთ წარმოებული ტერორისტული შეტევები დაჯგუფებისთვის მიზნის მიღწევის მხოლოდ დამხმარე მეთოდია. ტერორისტულ აქტებს ერთგვარი შურისძიების დატვირთვა აქვს იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც წინ აღუდგნენ დაეშის მისწრაფებას -შექმნას ისლამური სახელმწიფო.

სამხედრო ოპერაციები

საერთაშორისო კოალიციის გააქტიურებამდე, დაეში მოკლე დროში და მარტივად ახერხებდა როგორც ერაყში, ისე სირიაში, დიდი ტერიტორიების დაპყრობას ეროვნული ჯარების და შეიარაღებული აჯანყებული დაჯგუფებების დამარცხების გზით. მსგავს სამხედრო წარმატებაში დიდი წვლილი სადამ ჰუსეინის ბაათისტური ჯარის ყოფილ ოფიცრებს მიუძღვით. თუმცა, მთლიანობაში დაჯგუფების სამხედრო წარმატება განპირობებული იყო როგორც ბაათისტების ჩართულობით, ისე ერაყის აჯანყების დროს მიღებული გამოცდილებით და კავკასიელი ჯიჰადისტების მიერ შემატებული სხვადასხვა ტაქტიკით (Barfi, 2016). სწორედ ამ სამი ფაქტორის სწორმა შერწყმამ განაპირობა დაჯგუფების სამხედრო წარმატება და ჩამოაყალიბა იგი იმ ძალად, რომელსაც მოქნილად შეეძლო ვარირება ე.წ. „გერილა“ ტიპის დაჯგუფებას და კონვენციური ტიპის ჯარის მოდელებს შორის მრავალ ფრონტზე პარალელურად ბრძოლისას.

2014 წლის 14 ივლისს დაეშმა იერიში მიიტანა სოფელ მილიბიაზე, სირია. არსებული ინფორმაციის თანახმად სოფელში სამთავრობო ჯარის მე-17 დივიზიისა და ეროვნული თავდაცვითი ძალების 500-მდე ჯარისკაცი იყო დისლოცირებული, რომლებსაც დაეშმა 123 ადამიანი დაუპირისპირა. მათგან, 121 მებრძოლი, 1 თვითმკვლელი და 1 ოპერატორი - მოქმედებების აღსაბეჭდად. მილიბია დაეშის ინტერესში მოექცა სოფელში არსებული შეიარაღების არსენალის გამო. დაეშმა სოფელს ალყა შემოარტყა სამხრეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეებიდან. ოპერაციას კავკასიელი ემირები ხელმძღვანელობდნენ **თარხან ბათირაშვილის (აბუ უმარ ალ-შიშანი)**, **აბუ ჰალა ალ-რუსის** და **აბუ მუჯაჰიდ ალ რუსის** მეთაურობით. ბათირაშვილმა სოფელს სამხრეთიდან, მსუბუქი ქვეითი ბრიგადით შეუტია, აბუ ჰალამ მძიმე არტილერიით - აღმოსავლეთიდან, ხოლო აბუ მუჯაჰიდმა სნაიპერთა რაზმით - ჩრდილოეთიდან. სამმა დანაყოფმა იერიში ერთდროულად მიიტანა. გარშემორტყმულმა სამთავრობო ძალებმა გაქცევა დასავლეთისკენ დაიწყეს, სადაც მათ თვითმკვლელი მებრძოლის მიერ ავტომობილში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დახვდათ და სრულად გაანადგურა სამხედრო შენაერთი.

ბარაკ ბარფის მოსაზრებით მილიბიის იერიშში ორი რამ არის საყურადღებო: რაოდენობრივი პროპორცია და ავტომობილში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა - როგორც ტაქტიკა. მილიბიაში დაეში რაოდენობრივად წამგებიან პოზიციაში იყო, თუმცა ოპერაციის ტიპი ცხადყოფს, რომ დაეში ხშირად იყენებს „გერილა“ ტაქტიკას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელია მცირერიცხოვანი რაზმების შერკინება კონვენციურ საჯარისო დანაყოფებთან. რაოდენობის თვალსაზრისით მისი წამგებიანი მდგომარეობის კომპენსირება ხდება მებრძოლთა ხარისხით და მათი უპირობო მოტივირებულობით. იერიშის დასაწყისში, მოწინააღმდეგის დასუსტებისთვის, დაეში ხშირად მიმართავდა ავტომობილზე დამონტაჟებულ ასაფეთქებელ მოწყობილობებს. თუმცა, მილიბიის შემთხვევაში აღნიშნული დარტყმა შეტევის დასკვნით ნაწილში განხორციელდა. ბარფის მოსაზრებით აღნიშნული სწორედ ბაათისტების ტაქტიკაა.

2015 წლის 29 აგვისტოს დაეშმა უმ-ალ-შუქის (სირია) გარშემო მებრძოლების მობილიზება დაიწყო და ცეცხლი გაუხსნა ქურთების შენაერთებს. დაეშმა 60-მდე მებრძოლით შეტევა დივერსიის სახით დაიწყო. დივერსიის მიზანი იყო მოწინააღმდეგის ყურადღების გადატანა რეალური სამიზნედან ასობით მეტრის დაშორებით. ამ დროს, დაეშის 10-მდე მებრძოლმა სცადა მოწინააღმდეგის მხარეს შეპარვა, თუმცა ცეცხლს ვერ გაუძლო და უკან დაიხია. აღნიშნული ოპერაცია დაეშისთვის წარუმატებელი იყო, თუმცა - ნიშანდობლივი. კერძოდ, საინტერესოა დაჯგუფების უნარი წავიდეს რისკებზე, რაც მის მოქნილობაზე მიუთითებს. უესტ პოინტის ექსპერტების აზრით, ოპერაცია ტაქტიკურ დონეზე დაიგეგმა და შესრულდა, რაც მიუთითებს, რომ ტაქტიკური დონის მეთაურებს საკმაოდ დიდი თავისუფლება ქონდათ, რაც მათ განსაკუთრებულ მობილობას უზრუნველყოფს.

2015 წლის 31 მაისს დაეშმა ჰასაკას (სირია) სამხრეთიდან შეუტია და უმოკლეს ვადაში დაამარცხა ქალაქში გამაგრებული სამთავრობო ჯარი. დაეშმა მძიმე ტექნიკა, ნაღმმტყორცნები, ტანკები და ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილები გამოიყენა. ამასთან, მრავალი სნაიპერი შენობებზე იყო განთავსებული. უკან დახევისას დაეშის მებრძოლებმა შენობები დანაღმეს და დისტანციურად მართვადი ასაფეთქებელი ხელსაწყოები დაამონტაჟეს. კოალიციის საჰაერო იერიშის ვიზუალურად დასაბლოკად კი საბურავები დაწვეს.

აღნიშნული შეტევა საუკეთესოდ ასახავს დაჯგუფების ჰიბრიდულ სახეს - იგი იყენებს ე.წ. გერილა ტაქტიკებს და კონვენციურ ძალას. „გერილა“ ტაქტიკებს დაჯგუფება, ხშირად, კონვენციური ძალის უკან დახევის დროს ყურადღების გადატანისთვის იყენებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დაეში ადვილად ახდენს სიტუაციაზე ადაპტაციას და ეფექტურად ცვლის ბრძოლის მეთოდს.

ამ შეტევის დროს გამოიკვეთა დაეშის სადაზვერვო შესაძლებლობებიც. არსებული ინფორმაციით. დაეში ჯერ მცირერიცხოვან ჯგუფებს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ვითარების დასაზვერად აგზავნის. შემდეგ ხდება გამშვები პუნქტების, თავდაცვითი ობიექტების, მოწინააღმდეგის რუტინის და შეიარაღების დაზვერვა. შემდეგ ერთვება ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს გაფრთხილების გზით შეუფერხებელ წინსვლას. ბოლოს კი, ერთვება მთავარი ძალა. ძირითადი შეტევის დროს დიდ როლს ასრულებენ ჩანერგილი ერთეულები, რომელებსაც კონტრ-დაზვერვითი ფუნქციაც ენიჭებათ.

ცნობილია, რომ დაეში ხშირად იყენებს ე.წ. *ინღიმასიინთა* რაზმებს (Hamza, Abdul-Zahra, More, 2015), რომლებიც ძირითადად ასაფეთქებელი მოწყობილობებით დატვირთული ავტომობილების დეტონაციას მოყვებიან. აღნიშნული რაზმები, ძირითადად, მათი განსაკუთრებული უნარების გამო, უცხოელი მებრძოლებით არიან დაკომპლექტებული. ისინი, ასევე, გაწვრთნილი არიან ახლო ხელჩართულ ბრძოლაში. ამ რაზმების მიზანი მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზების დარღვევა და განსაკუთრებით რთული სამიზნეების აღებაა. ე.წ. ინღიმასინები, განსაკუთრებით უშიშარ და მოტივირებულ მებრძოლებად ითვლებიან და ყველაზე ხშირად იყენებენ ე.წ. შაჰიდის ქამრებს (Barfi, 2016).

ტერორიზმი

დაეში თვისებრივად სხვა ტიპის დაჯგუფებაა. იგი სამოქალაქო ომის ფარგლებში წარმოიშვა და მისი მთავარი ამოცანაც ტერიტორიული დაპყრობაა. მისთვის ტერორიზმსაც სხვა დატვირთვა აქვს. ტერორისტული მეთოდები რევოლუციური ომის ნაწილია და მისი მიზანია შეიარაღებული და პოლიციური ძალების მორალური გატეხვა, სექტარიანული შუღლის გაღვივება და ტერიტორიული დაპყრობისთვის საჭირო დინამიკის შექმნა. დაეშისთვის ტერორიზმი კონვენციური ბრძოლის დანამატია. სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან განსხვავებით, დაეში გაცდა რეკრუტირების კონვენციურ მეთოდებს. ის, შეუდარებლად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიას მხარდამჭერებთან კომუნიკაციისთვის. ამასთან, ონლაინ რესურსების გონივრული გამოყენებით, დაჯგუფება, პრაქტიკულად სახელმძღვანელოებს ქმნის რადიკალებისთვის. დაეშმა პოტენციურ რადიკალებს საგრძნობლად გაუმარტივა ტერორისტული თავდასხმის განხორციელება, რადგან დაჯგუფების თანახმად, მთავარია შეტევა განხორციელდეს დაეშისთვის ერთგულების ფიცის ფარგლებში. სხვა მხრივ, მეთოდის და მიდგომის არჩევანში ინდივიდუალური ტერორისტი თავისუფალია.

დაეშის სამხედრო მარცხმა და მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შესაბამისი სახელმწიფოების იურისდიქციის დაბრუნებამ, კიდევ უფრო არა-პროგნოზირებადი გახადა დაჯგუფების ტერორისტული აქტივობები. სახალიფოს მიმართულებით მგზავრობის ნაცვლად, დაეში, ახლა მოუწოდებს მხარდამჭერებს ადგილზე, არსებული შესაძლებლობებით განახორციელონ შეტევები. ინდივიდუალური ტერორისტებისთვის მამოძრავებელი და მამოტივირებელი სწორედ იმის ალბათობაა, რომ დაეში მათ შეტევაზე აიღებს პასუხისმგებლობას. დაეშის ტერორისტული აქტების მეთოდები განსხვავდება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ზონის ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვა რეგიონებისაგან. კონფლიქტის რეგიონში ხშირია ფართო მასშტაბიანი აფეთქებები დიდი რაოდენობით მსხვერპლით. ამ რეგიონში დაეშის მეთოდები ტერორიზმის, გერილა და კონვენციური ომის მეთოდებს შორის ვარირებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ სირია და ერაყი დაეშისთვის უმთავრეს სამიზნეს წარმოადგენს. მსოფლიოს სხვა რეგიონებში მეთოდები განსხვავდება. როგორც აღინიშნა, დაეში ალ-კაიდასეულ გრანდიოზულ შეტევებს ნაკლებად ახორციელებს. შეტევის დაგეგმვასა და განხორციელებაში დაჯგუფება სრულ თავისუფლებას აძლევს მხარდამჭერებს, რაც განაპირობებს იმას, რომ გამოყენებული მეთოდები და თავდასხმის საშუალებები ხშირად საკმაოდ კუსტარულია. ინდივიდუალური ტერორისტები, რომლებიც დაეშის სახელით ოპერირებენ მიმართავენ იაფ, ხელმისაწვდომ, მაგრამ მომაკვდინებელ გზებს. სწორედ ამგვარი დეცენტრალიზებული მიდგომა ხდის დაეშიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეს უკიდურესად რთულად პროგნოზირებადს და სამართავს.

უკანასკნელ წლებში გახშირებულია ავტომობილის მეშვეობით განხორციელებული თავდასხმები, რომელთა ფარგლებშიც ტერორისტი ხალხმრავალ ადგილზე იჭრება დიდი ზომის ავტომობილით და თელავს ხალხის მასებს. აღნიშნული მეთოდი არ არის ხარჯიანი და ადვილად ხელმისაწვდომია. იგი ამავდროულად მომაკვდინებელია და აყენებს სერიოზულ ზიანს ერთდორულად ბევრ ადამიანს. აღნიშნული ხაზს უსვამს ზემოხსენებულ აზრს, რომ ხშირად, დაეშისთვის ძალადობა მიზანია და არა საშუალება. დაეშს მსგავსი თავდასხმის შესახებ არაერთი პუბლიკაცია გამოუცია, დეტალური ინსტრუქციებით. პუბლიკაციებში განმარტებულია თუ როგორ უნდა მოხდეს ავტომობილის და სამიზნის არჩევა.

დაეშს, ასევე, არაერთხელ მოუწოდებია გულშემატკივრებისთვის გამოიყენონ დანები. დანა მარტივი ხელსაწყოა შეტევის განხორციელებისთვის - დანა თითქმის ყველასთვისაა ხელმისაწვდომი, ადვილია მისი დამალვა და გადატანა. უმთავრესად, დანა მომაკვდინებელი იარაღია, განსაკუთრებით შესაბამისი ცოდნის მქონე ადამიანის ხელში.

ღია წყაროებში არსებული ინფორმაციის თანახმად, ევროპაში დაეშის სახელით პირველი ტერორისტული თავდასხმა 2014 წელს ბელგიაში განხორციელდა, როდესაც შეიარაღებულმა პირმა ებრაული ისტორიის მუზეუმს ცეცხლი გაუხსნა და 4 ადამიანი იმსხვერპლა. ამის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ავსტრალიაში, კანადაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში განხორციელდა 6 მცირე მასშტაბიანი შეტევა დანების და/ან ავტომობილების გამოყენებით.

2015 წლის პირევლი შეტევა საუდის არაბეთში მოხდა, სადაც გამოიყენეს როგორც ცეცხლსასროლი იარაღი, ისე. ე.წ. შაჰიდის ქამარი. მალევე მოხდა ლიბიაში კორინთიას სასტუმროზე განხორციელებული თვდასხმა, რომელშიც ასევე შაჰიდის ქამარი იქნა გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთულ მანქანასთან ერთად. 2015 წელსვე განხორციელდა შეტევა შიიტურ სალოცავზე იემენში, სამი სხვადასხვა ტიპის დაბომბვა თურქეთში, შეტევები ლიბანში, ტუნისსა და სირიაში. ამავე წელს მოხდა სამი შეტევა საფრანგეთში. მათგან ერთ-ერთი იყო ნოემბრის კოორდინირებული შეტევების სერია, რომლებსაც 130 ადამიანი ემსხვერპლა.

2016 წელს განხორციელებული 36 შეტევიდან ყველაზე მომაკვდინებელი, ივლისში, ბაღდადის დაბომბვების სერია იყო, რომელმაც მინიმუმ 325 ადამიანი იმსხვერპლა. 2017 წლის ყველაზე სისხლიან შეტევას 311 ადამიანი შეეწირა ეგვიპტეში. ამის პარალელურად განხორციელდა ლონდონის შეტევები, რომლებშიც სხვადასხვა დროს, გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, დანა და ავტომობილი. ასევე, მანჩესტერში საკონცერტო არენის შეტევა, რომლის დროსაც თვითმკვლელმა ტერორისტმა შაჰიდის ქამრით აიფეთქა თავი. ამავდროულად, შეტევები განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის სხვა ქალაქებში, რუსეთის ფედერაციაში და ახლო აღმოსავლეთში.

ნაწილი მეოთხე

ნარატივი, პროპაგანდა და საინფორმაციო ოპერაციები

მიუხედავად ყოველივე ზემთ ხსენებულისა, შეიძლება ითქვას, რომ დაეშის მთავარ საფრთხეს მისი ე.წ. *რბილი ძალა* წარმოადგენს. სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისგან დაეშს სწორედ ის გამოარჩევს, რომ საინფორმაციო ოპერაციებს მის ზოგად სტრატეგიაში ცენტრალური როლი უჭირავს. საოცარი სიზუსტით გათვლილი და რელიგიური დოგმებით გაჯერებული პროპაგანდის, დარწმუნების უნარისა და არნახული ხერხების წყალობით, დაეში ყველაზე არაპროგნოზირებად და პრაქტიკულად უმართავ ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენს, რომლისგანაც არც ერთი ქვეყანა, საზოგადოება თუ თემი არის დაზღვეული. წინამდებარე თავში მიმოიხილება დაეშის პროპაგანდისტული ღონისძიებები და ის ნარატივები, რომელთა მეშვეობით დაჯგუფება საკუთარი იდეოლოგიის გავრცელებას ახდენს.

ნარატივი

ნარატივი არის ურთიერთდაკავშირებული და რიგობრივად ორგანიზებული ისტორიების თანამიმდევრული სისტემა, რომელსაც აქვს მიზანი გადაწყვიტოს, ესა თუ ის შინაგანი კონფლიქტი, მსმენელში/მკითხველში წინასწარი მოლოდინის შექმნის გზით, რომელიც თავის მხრივ ნარატივის შემქმნელის ნორმებზეა მორგებული (Halverson, 2011). ნარატივი ქმნის მარტივ, დახარისხებულ განმარტებებს, როგორც წარსული მოვლენებისა, ისე მიმდინარე/თანამედროვე მდგომარეობისა. ისლამისტური ნარატივები ამას ყურანის, ჰადისებისა და მუსლიმი თემის ისტორიის ამსახველი იდეებისა და ტექსტების ინტერპრეტაციით ახდენს. ე.წ. გრანდ ნარატივები (მასტერ ნარატივები) სცდება კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს და ჩაქსოვილია კულტურაში.

ისლამისტური გრანდ ნარატივები მუსლიმებისთვის წარსულისა და აწმყოს დაკავშირების, განმარტების და გაცნობიერების მექანიზმია (Mahood, Rane, 2016).

სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომების თანახმად (Silber and Bhatt 2007; Githens-Mazer 2008; Zhao 2010, Karagiannis 2012.), ისლამისტურ რადიკალიზაციას 7 ძირითად ფაქტორს მიაკუთვნებენ, რომელთა განმარტებაც აუცილებელია დაეშის პროპაგანდის ჯეროვანი ანალიზისთვის. ეს ფაქტორებია:

- პირადი მსხვერპლისა და დისკრიმინაციის განცდა - ამძაფრებს არასრულფასოვნებისა და დისკრიმინაციის გრძნობებს და ამყარებს ე.წ. „მათ“ და „ჩვენს“ შორის ხიდჩატეხილობას;
- ისტორიული და პოლიტიკური გასაჭირი - საკითხი ეხება დასავლეთის ქვეყნების მიერ წარმოებული საგარეო პოლიტიკის აღქმას, რომელიც ბევრისთვის ისტორიულად დისკრიმინაციულია;
- პირადი გასაჭირი - პირადი ტრაგედია როგორც რადიკალიზაციის ხელშემწყობი ფაქტორი;
- სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა;
- რადიკალური ისლამიზმის ეგზოგენური გავლენა;
- ინსპირაციული ქადაგება;
- რადიკალურ ორგანიზაციასთან გაცნობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიმოხილულია რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორები სხვადასხვა დროსა და საზოგადოებებში, თუმცა მოცემული დოკუმენტისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ხდება ამ ფაქტორების გაღვივება ისლამისტური ნარატივის მეშვეობით. ნათელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც დისკრიმინაცია, არც ისტორიულ-პოლიტიკური გასაჭირი და არც პირადი ტრაგედია, უშუალოდ რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზი არ არის. ერთად, ცალცალკე ან რაიმე კომბინაციით ისინი ხელშემწყობი ფაქტორებია, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, ექსტრემისტული დაჯგუფების იდეების ფეხის მოკიდებისთვის, ნოყიერ ნიადაგს

ქმნის. სწორედ ამ იდეების ადამიანურ კოგნიტიურ სისტემაში ნორმალიზების მიზანს ემსახურება ყველანაირი ნარატივი. ნარატივი, კომპლექსური და თანმიმდევრული გზავნილების ერთიანობაა, რომელიც ამა თუ იმ იდეის ადამიანის ცნობიერებაში ნორმალიზებას და შეთვისებას ემსახურება. ჯეფრი ჰალვერსონმა (2011) დაადგინა 11 გრანდ ნარატივი, რომელზეც აწყობილია ისლამისტური ჯგუფების პროპაგანდა. თერთმეტივე გრანდ ნარატივის საწყისი ისტორიულ-რელიგიური მოვლენა ან სწავლებაა, რომლებსაც ექსტრემისტული დაჯგუფებები საკუთარ მიზნებს არგებენ და მანიპულაციის გზით დამაჯერებელ სტრატეგიას და შესაბამის გზავნილებს აწყობენ მხარდამჭერების მოსაზიდად. ჰალვერსონის მიერ იდენტიფიცირებულია შემდეგი 11 გრანდ ნარატივი:

1. უგუნური ხელისუფალი, რომელიც არ ემორჩილება ღმერთის განგებას;
2. უცოდინრობისა და უსამართლობის მდგომარეობაში მაცხოვრებელი საზოგადოება *ჯაილია;*
3. მუსლიმთა მცირერიცხოვანი ჯარის გამარჯვება ურწმუნოთა მრავალრიცხოვან ძალაზე;
4. მკრეხელები, რომლებიც თავს მუსლიმებად ასაღებენ;
5. არა მუსლიმი უმცირესობები, რომლებიც ისლამურ საზოგადოებას ძირს უთხრიან;
6. სიკვდილი, როგორც პატივი მკრეხელ ხელისუფალთა უღელს ქვეშ ცხოვრების საპირწონედ;
7. *მაჰდი* - მუსლიმთა წინამძღოლი, რომელიც ჟამთა აღსასრულს მოევლინება კაცობრიობას და დადგება ახალი, სამართლიანი ერა;
8. მუსლიმთა მიწებზე გაბატონებული ურწმუნოთა ჯარები;
9. 1924 წელს ოტომანთა იმპერიის სეკულარული რესპუბლიკით ჩანაცვლების ცოდვა;
10. *ნაბკა* ანუ პალესტინელი და ზოგადად, მუსლიმი ხალხის შევიწროვება ისრაელის მიერ, რასაც ბოლო უნდა მოეღოს მისი სრული ლიკვიდაციის გზით;
11. 72 ქალწული, რომელიც სამხედრო ჯიჰადში სიცოცხლის გაწირვის შემთხვევაში გადაეცემა მებრძოლს.

ჰალვერსონის თანახმად, დაეშის ნარატივის არსი სწორედ ამ თერთმეტ თემაშია ასახული, რომელზეც შემდეგ ეწყობა პროპაგანდისტულ გზავნილთა მთელი რიგი. ამ საკითხების გაშლით, მათი მანიპულირებითა და საჭიროების შესაბამისი ინტერპრეტაციით (და მიწოდების სხვადასხვა მეთოდებით), დაეში უქმნის პოტენციურ მხარდამჭერს სარწმუნო, საფუძვლიან ლოგიკურ ჯაჭვს იმისა, თუ რატომ არის ის ვალდებული იბრძოლოს და/ან წვლილი შეიტანოს ისლამური სახელმწიფოს მშნებლობაში. იქმნება კომპლექსური და თანმიმდევრული მითი იმის შესახებ, თუ ვისგან და/ან რისგან ვის და/ან რას იცავს ჭეშმარიტი მუსლიმი დაეშის რიგებში ბრძოლისას. წარსულ მოვლენებსა და აწმყოში მიმდინარე პროცესებს შორის კავშირის საგულდაგულო, მიზანმიმართული განმარტებით ეწყობა დამაჯერებელი ჯაჭვი, რომელიც ნიადაგს ამზადებს დაჯგუფების პოტენციურ ქომაგებში ვალდებულების გრძნობის გაღვივებისათვის.

პროპაგანდა

პროპაგანდა შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური გავლენის მქონე, რომელიც მიმართულია იდეების მანიპულაციაზე. პროპაგანდა არის აღქმის მანიპულაციის ნებაყოფლობითი და სისტემური მცდელობა, ასევე, განზრახვა კოგნიტიური სისტემისა და ქმედებების იმგვარი მართვისა, რომ მაქსიმალურად იყოს მიღწეული პროპაგანდისტის მიზნები (Jowatt, O'Donnel, 2012). შესაბამისად, პროპაგანდის ძირითადი მიზანი გამცემის ინტერესია და არა ადრესატის კეთილდღეობა. ამგვარად, პროპაგანდა გავლენის მოპოვების ხერხია.

საკუთარი პროპაგანდის ეფექტური გატარებისთვის დაეშს სამ დონიანი მედია არქიტექტურა აქვს: ცენტრალური, პროვინციული მედია ოფისები და მხარდამჭერთა მასა.

დაეშის ცენტრალური მედია, როგორიცაა *ალ ჰაიათი, ალ ფურქანი, ალ ითისამი* და *ალ აჯნადი* აწარმოებდნენ საინფორმაციო ოპერაციებს, რომლებიც ონლაინ რეჟიმში ვრცელდებოდა და ტრანსნაციონალურ აუდიტორიაზე გათვლილი. ცენტრალური მედია აპარატი, ძირითადად, მმართველობისგან მნიშვნელოვან განცხადებებს ავრცელებს, ადგენს და განსაზღვრავს სხვადასხვა მოვლენის მნიშვნელობას და ზოგ შემთხვევაში, აწარმოებს აუდიო *ნაშიდებს*. დაეშის

რეგიონული, ანუ *ვილაიეთების* საინფორმაციო ოფისები პასუხისმგებელნი არიან იმგვარ კომუნიკაციაზე, რომელიც უფრო ადგილობრივ საკითხებზეა კონცენტრირებული. ეს რგოლი ძირითადად ისეთ ადგილობრივ რესურსს იყენებს, როგორიცაა ბილბორდები, რადიო, პოსტერები და საჯარო თავშეყრის ადგილები. გარდა ზემოთჩამოთვლილი „ოფიციალური“ საკომუნიკაციო ინსტიტუციებისა, დაეშის პროპაგანდის გავრცელების კუთხით, უმნიშვნელოვანესი როლი მისი მხარდამჭერების ფართო ბაზას აქვს, რომელიც არა მხოლოდ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს, არამედ ქმნის საკუთარ, დამოუკიდებელ კონტენტს.

დაეშის ოფიციალური და არაოფიციალურ გზავნილების მიზანია, ერთი მხრივ, **შექმნას მოვლენების მისთვის სასარგებლო აღქმა,** ხოლო მეორე მხრივ, **მოახდინოს მხარდაჭერის პოლარიზება**. “[დაეშის] კომუნიკეები იმგვარად არის შედგენილი, რომ მოახდინოს გავლენა იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს აუდიტორია კონფლიქტს დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური აპარატების (კონტროლის სისტემა) და მიზნების (მნიშვნელობათა სისტემა) შეჯახებად“(Ingram 2015; 735). დაეშს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მისი კონტროლის სისტემის დამკვიდრებისთვის აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ პრაგმატულ საჭიროებებს, როგორიცაა უსაფრთხოება, სტაბილურობა და საარსებო წყაროები, არამედ მან უნდა შექმნას ღირებულებათა საკუთარი სისტემა, რომელიც აუდიტორიას მისი ხედვისაკენ მოაქცევს. ამ მიზნისთვის აუცილებელია საინფორმაციო ოპერაციების მრავალშრიანი სტრატეგია, რომელიც მორგებული იქნება ე.წ. „გლოკალურ“ (გლობალურ და ლოკალურ) აუდიტორიაზე (ibid).

ჰარორო ინგრამის თანახმად, რომელიც დაეშის საინფორმაციო ოპერაციებს იკვლევს, დაჯგუფების გზავნილები ორი ძირითადი ფაქტორისგან შედგება, კერძოდ, **პრაგმატული** და **აღქმითი.**

პრაგმატული ფაქტორების ბირთვი უსაფრთხოება, სტაბილურობა და საარსებო წყაროებია. ამ ფაქტორით დაეში ხაზს უსვამს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური კამპანიის ეფექტურობას. პრაგმატული ფაქტორების მეშვეობით დაეში თავს წარმოაჩენს ქმედით და ეფექტიან პოლიტიკურ ერთეულად, რომელსაც შეუძლია ყველა იმ ძირითადი ფუნქციის შესრულება, რომელიც ტრადიციულად, სახელმწიფოს კომპეტენციაა.

აღქმითი ფაქტორები აწყობილია ისეთ სოციალურ კონსტრუქციებზე, როგორიცაა ჯგუფის შიდა იდენტობა, ჯგუფის გარე იდენტობა, კრიზისი და მისი გადაწყვეტა. სწორედ ამ კონცეპტების მანიპულირებით ქმნის დაეში საფუძველს იმისა, რომ პოტენციური მხარდამჭერებისთვის იდენტობის კონსტრუირების მთავარი წყარო თავად გახდეს. საინფორმაციო ოპერაციების ეს ნაწილი დაეშის მხარდამჭერს უღვივებს განცდას, რომ მის არსებულ იდენტობაში სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული კრიზისია, რის სანაცვლოდაც დაეში მას ძლიერ იდენტობას სთავაზობს. ანუ, დაეში ქმნის პრობლემის კონსტრუქციას, რომელსაც უპირისპირებს გადაწყვეტის გზას. დაეში საკუთარ თავს სუნიტი მუსლიმების (შიდა ჯგუფი) წინამძღოლად აცხადებს, საკუთარ მტრებს - „ბოროტ სხვებად“ (გარე ჯგუფი: შიიტები, ქრისტიანები, ურჩი სუნიტები). სწორედ ეს „სხვები“ წარმოჩნდებიან კრიზისის მიზეზად, დაეში კი - ერთადერთ გამოსავლად და ხსნად. შედეგად, დაეში ქმნის მნიშვნელობათა სისტემას, რომელშიც ყველა მოვლენას, ჯგუფს, პირს აქვს დაჯგუფების ინტერესებთან თავსებადი დატვირთვა. მაშასადამე, დაეშის პოტენციური მხარდამჭერები უკვე ამ პრიზმიდან აღიქვამენ და აფასებენ კონფლიქტს, ანიჭებენ მნიშვნელობებს და ახდენენ ქმედებების და მოვლენების ლეგიტიმაციას (Ingram 2015).

თუმცა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ აღნიშნული ფაქტორები ცალ-ცალკე არ გამოიყენება. ისინი გონივრულად არის შერწყმული და გაერთიანებული ნარატივის სახით, რომელსაც თან ერთვის ემოციური ვიზუალური გაფორმება. აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ დაეშის ნარატივი მაქსიმალურად ფართო აუდიტორიას წვდება და იკიდებს ფეხს.

ცალსახად საყურადღებოა ის მასალა, რომლითაც დაეში საკუთარი ნარატივებისა და გზავნილების ვიზუალურ კომუნიკაციას ახდენს. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ჟურნალი *დაბიქი* არის. ეს არის მაღალპოლიგრაფიული ხარისხის ინგლისურენოვანი ონლაინ ჟურნალი,

რომელიც დაჯგუფების ნარატივის შექმნისა და მისი გავრცელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხელსაწყოა.

დაბიქის ყოველი გამოცემის პირველ გვერდზე ალ ზარკავის ციტატაა მოყვანილი, რომელიც ნათელს ხდის ჟურნალის ზოგად პათოსს:

„ნაპერწკალი აქ, ერაყში გაღვივდა და მისი სიმხურვალე იქმადე გაიზრდება - ალლაჰის ნებით - სანამ ჯვაროსანთა ჯარებს დაბიქში არ გადაწვავს“

დაბიქი ისტორიული მნიშვნელობის ქალაქია, ჩრდილოეთ სირიაში, ალეპოს მახლობლად. ლეგენდის თანახმად სწორედ დაბიქში გაიმართება გადამწყვეტი ბრძოლა ჭეშმარიტ მუსლიმებს და ჯვაროსნებს შორის და ეს ბრძოლა მუსლიმთა უპირობო გამარჯვებით და ახალი სამყაროს ჩამოყალიბებით დასრულდება.

ჟურნალის პირველი ნომერი მკითხველს მოკლედ აცნობს თუ რაზე იქნება იგი თემატურად კონცენტრირებული. ჩამოთვლილი თემებია: *თავჰიდი* (მონოთეიზმი), *მანჯაჯი* (სარწმუნოების სწორი გაგება), *ჰიჯრა* (მიგრაცია), *ჯიჰადი* (საღმრთო ომი), *ჯამა'ა* (მორწმუნეთა ერთობა). ეს ხუთი თემა მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს არის დაეშის დოქტრინის ბირთვი. მეორე მხრივ კი, სწორედ ამ თემებით მანიპულაციის გზით დაეში საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიას ისლამის სარწმუნოებად ასაღებს (Mahood & Rane 2017). მაგალითად, დაეშის მსხვერპლთა მიმართ, ხშირად, გამოიყენება ტერმინი *კუფარ,* რაც ღმერთის უარმყოფელ ცოდვილს ნიშნავს. ამ გზით დაეში საკუთარ ძალადობას რელიგიის მიერ სანქცირებულად ნიღბავს. დაეშის ყველა გზავნილს, იქნება ეს ონლაინ გამოცემა, ფოტო, ვიდეო თუ აუდიო, ორი სამიზნე ჰყავს: მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები. ამის ნათელი მაგალითია ჟურნალი დაბიქი, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება სახალიფოში იდილიური ცხოვრების, ფუნქციონალური საზოგადოების და კეთილდღეობის ამსახველი მასალა დასახიჩრებული სხეულების, სისხლისღვრისა და ძალადობის ვიზუალურ მასალას.

პირველი ადრესატი მხარდამჭერია. მასაჩვენებენ იდეალურ ცხოვრებას, თითქოს და, ჭეშმარიტად ისლამურ სახელწიფოში. თავის მხრივ, ამ კონკრეტული ადრესატის შემთხვევაში, ძალადობის ამსახველი კადრები ორ მიზანს ემსახურება. 1. ზოგ შემთხვევაში, ნაჩვენებია ის, თუ როგორ ექცევიან მტრები დაეშის თანამოაზრეებს, სახალიფოს მკვიდრებს, რაც მხარდამჭერს ავალდებულებს იარაღით ხელში დაიცვას სახალიფო. 2. ძალის პროექცია, რომლითაც მხარდამჭერებს დაანახებენ მათ მიერ შექმნილი „სახელმწიფოს“ სამხედრო ძალას.

მეორე ადრესატია დაეშის მტერთა მთელი რიგი, იქნება ეს შიიტი მუსლიმები, პოლიტიკური დასავლეთი თუ სხვა ნებისმიერი ჯგუფი, რომელსაც დაეში რამე ნიშნით მტრად აღიქვამს. აქაც, ერთი მხრივ, ხდება დემონსტრირება იმისა, თუ რაოდენ წარმატებული სახელმწიფოებრივი პროექტი შექმნა დაჯგუფებამ, რომელსაც დასავლეთი ტერორისტულს ეძახის. იგი აქტიურად და მეთოდურად ცდილობს დაიმკვიდროს თავი როგორც სახელმწიფოებრივმა ერთეულმა. არა მხოლოდ მხარდამჭერების, არამედ მოწინააღმდეგეების გონებაშიც. მეორე მხრივ, მოწინააღმდეგეებს აჩვენებენ იმას, თუ რა ძალას უპირისპირდებიან.

დაეშისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითლეგიტიმაციას და მისი ისლამური ლეგიტიმაციის აღქმას. დაჯგუფება მიზანმიმართულად ცდილობს ყველა თავის ქმედებას მოუმზადოს განმარტება, რომელიც ამ ქმედების აუცილებლობას, გარდაუვალობას ან/და მორალურ სისწორეს უდავოს გახდის. აუცილებელია, რომ ის იყოს ჭეშმარიტების შემქმნელი და მატარებელი. სწორედ ამიტომ, დაეშის პროპაგანდა არ არის სპონტანური და სპორადული, ის არ არის კონკრეტული ღონისძიების გამართლებაზე ან ახსნაზე ორიენტირებული. პირიქით, ყველა ქმედება და ღონისძიება დიდი ხედვის ნაწილია, ამ ხედვის ფარგლებში შექმნილია ყოვლისმომცველი ნარატივი, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს მნიშვნელობათა სისტემას. შესაბამისად, ქმედება ხედვით არის განპირობებული და მისი თანმდევი და ქვემდებარეა.

აღნიშნული, ერთი შეხედვით, დაჯგუფების ძალას ჰგავს, თუმცა სწორედ ამაშია დაჯგუფების ყველაზე დიდი სისუსტე, რომელიც გონივრულად უნდა იქნას გაცნობიერებული და გამოყენებული კონტრ-ნარატივების შექმნისას. „[დაეშის] ყველაზე მოწყვლადი მხარე არა მისი ძალადობა, არამედ მისი პრეტენზიაა, იყოს ჭეშმარიტად ისლამური გაერთიანება მაშინ, როდესაც მისი ოპერაციები საგრძნობლად არღვევენ ისლამის ძირითად სწავლებებს. [...] თუ [დაეშს] მკვლელობებისა და ძალადობის რელიგიური ლეგიტიმაციას გამოვაცლით, მისგან მხოლოდ კრიმინალური დაჯგუფება დარჩება. მაშინ, როცა ის [დაეში] ისლამს იყენებს რეკრუტირებისა და წევრების მოტივირებისთვის. სწორედ ამან შეიძლება გამოავლინოს დაეში შიშველ მეფედ, რომელმაც ისლამი იქამდე დაამახინჯა, რომ დაჯგუფების წევრები იმ ცოდვაში დამნაშავენი გამოდიან, რომელსაც ისინი სხვა მუსლიმებში ებრძვიან“ (Sorenson 2014; 25-26).

დაეშის უსაფუძვლო ექსტრემიზმი და ის, თუ როგორ მანიპულირებს იგი ისლამის სწავლებებით, განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს დაჯგუფების განცხადებებისა და ქმედებების ისლამის სწავლულთა ძირითად დებულებებთან შედარებისას. ამ მხრივ, დაეშის ნარატივის კლასიკურ ისლამურ სწავლებებთან შედარება აუცილებელია სწორად გათვლილი კონტრ ნარატივების შექმნისთვის.

თავჰიდი

როგორც დოკუმენტში აღინიშნა, სალაფიტური ისლამის ერთ-ერთი ცენტრალური ღერძია თავჰიდის პრინციპი, რომელიც ღმერთის ერთობას ნიშნავს. სწორედ თავჰიდის პრინციპის გამო ისლამი მონოთეისტური რელიგიაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ისლამი არ აღიარებს ღვთაებებს გარდა ალლაჰისა. თუმცა, შიიტურ ისლამში იმამები ახლოს არიან ღვთაებრივ სტატუსთან. განსაკუთრებული უთანხმოების წყაროა იმამი ალი იბნ ტალიბი და იმამი ჰუსეინ იბნ ალი, რომლებიც მუჰამედის სიძე და შვილიშვილი იყვნენ. კლასიკური სალაფიტური ავტორები ცალსახად გმობდნენ ამგვარ დამოკიდებულებას, თუმცა არც იბნ ტაიმია და არც აბდ ალ-ვაჰაბი არ გამოიყენებენ შიიტებთან მიმართებაში სიტყვას *კუფრ*, რაც ურწმუნოს და ღმერთის უარმყოფს ნიშნავს. არც შიიტების წინააღმდეგ ძალადობისკენ მოუწოდებია რომელიმე ხსენებულ ავტორს - აბდ ალ-ვაჰაბი წერდა შიიტებთან დიალოგისა და ლოგიკური მსჯელობის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. თუმცა, დაეში თავჰიდის პრინციპის ნებისმიერ დამრღვევს ტაქფირის ღირსად მიიჩნევს.

თაქფირი

როგორც აღინიშნა, ტაქფირი აღნიშნავს პირის მოკვეთას ისლამური საზოგადოებიდან (*უმმა)* რელიგიური გადაცდომის გამო. უმაიადთა სახალიფოს დროიდან, გარკვეული შიიტური ჯგუფების მიმართ გამოცხადებულა თაქფირი, თუმცა სუნიტ მოაზროვნეთა უმრავლესობა შიიტებს არ მიიჩნევს ურწმუნოდ. მიუხედავად იმისა, რომ თაქფირი ისლამის ერთ-ერთი უძველესი პრაქტიკაა, იგი საკმაოდ იშვიათი იყო. ისეთი მუსლიმი მოაზროვნეები, როგორიცაა აბუ ჰამიდ მუჰამედ ალ-ღაზალი, წერდა, რომ მუსლიმის რწმენაში ეჭვის შეტანა თავად ურწმუნოების ცოდვაა. ტაიმია კი მიიჩნევდა, რომ ტაქფირი ისლამში ინოვაცია ანუ *ბიდა* იყო, რაც მას დაუშვებელს ხდის. თუმცა, 1970-იანი წლებიდან ტაქფირის პრაქტიკამ საგრძნობლად იმატა და სხვადასხვა ისლამისტურ-ჯიჰადისტური დაჯგუფებები ტაქფირს უცხადებდნენ ყველა იმ ხელისუფლებას, რომელთანაც რაიმე სახის პოლიტიკური უთანხმოება ჰქონდათ. დაეშს თაქფირის ყველაზე რადიკალური პრაქტიკა აქვს. დაჯგუფებამ შეიმუშავა გრძელი სია იმ ქმედებებისა, რომელთა გამოისობით პირი შეიძლება ქუფრად გამოცხადდეს, რაც როგორც აღინიშნა, ტაკფირის გამოცხადების საფუძველია.

ჯაილია

ჯაილია არის უცოდინრობის მდგომარეობა. ტერმინი ჯაილია ფიგურირებს როგორც ყურანში, ისე ჰადისებში, თუმცა განსაკუთრებული დატვირთვა მას საიდ ქუთბმა შესძინა, რომლის განმარტებითაც ჯაილიას მდგომარეობაში მყოფი საზოგადოება ის არის, რომელშიც ძლიერი ჩაგრავს სუსტს, მატერიალიზმი სულიერ ცხოვრებაზე წინ დგას და შარიათის უკუგდების შედეგად საზოგადოება ცოდვილ და ქაოტურ მდგომარეობაშია. გამომდინარე იქიდან, რომ ჯაილიას

მდგომარეობის მთავარი გამომწვევი ურწმუნოები არიან, ისინი უნდა მოექცნენ *დიმმის სტატუსის* (დაცული სტატუსი) ქვეშ. აღნიშნული სტატუსი მათ, ერთი მხრივ, დაცულის, მეორე მხრივ კი, მუსლიმ თემზე ნაკლულად ცნობს. საიდ კუთბის განმარტებით, თანამედროვე ჯაილია არის მდგომარეობა, რომელშიც ადამიანებს ადამიანები მართავენ და არა - ღმერთი. თუმცა, არც ყურანი, არც ჰადისები და არც საიდ კუთბი ამ ადამიანებს ქუფრის ცოდვაში მყოფად არ ასახელებს. აღნიშნული ცალსახად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საიდ ქუთბს ქუფრის კონცეფციის ყველაზე მკაცრი და რადიკალური განმარტება აქვს. თუმცა, ქუფრის ცოდვისთვის სასიკვდილო განაჩენს მხოლოდ დაეში იყენებს, რაც ეწინააღმდეგება როგორც ყურანს, ისე ჰადისებს და ჯიჰადისტ მწერლებს, როგორიცაა საიდ კუთბი.

სახალიფო

საინტერესოა დაეშის მიერ სახალიფოსკენ მისწრაფება და მისი გამოცხადების სტილი. საეჭვოა თვითგამოცხადებული სახალიფოს ლეგიტიმურობა. თავჰიდის პრინციპის, ერთერთი, მნიშვნელოვანი კომპონენტია *ჰაქიმიიას* კონცეპტი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ სუვერენული ძალაუფლება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამასთან, განსხვავებაა ძალაუფლებას და ძალაუფლების აღსრულებას შორის. პირველი მოიპოვება ჰაქიმიიას აღიარებისას, ხოლო მეორე, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუსლიმი თემის კონსენსუსით. ისეთი მწერლისთვის, როგორიც იყო იბნ ტაიმია, ჭეშმარიტი სახალიფოს შექმნის უფლება მხოლოდ მუსლიმ უმმას აქვს. შესაბამისად, დაეშის მიერ გამოცხადებულ სახალიფოს რელიგიური თვალსაზრისით ლეგიტიმაცია არ ჰქონია.

ჯიჰადი

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის აღსრულებაშიც დაეში ეწინააღმდეგება ისლამის სწავლებებს, ჯიჰადის წარმოების მეთოდებია. ისლამი, ცალსახად, კრძალავს ძალადობის გამოყენებას ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ. ასევე, აკრძალულია მამრობითი სქესის ტყვეების წამებაც. ცნობილია, რომ დაეში განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდება ქალებს, იქნებიან ისინი შიიტი, იეზიდი თუ დაუმორჩილებელი სუნიტები. ასევე, ცნობილია დაეშის უსაზღვრო სისასტიკე ტყვედ ჩავარდნილი მებრძოლების წინააღმდეგ. მაშასადამე, ჯიჰადის წარმოების მეთოდშიც დაეში სცდება ისლამის სწავლებებს.

ნაწილი მეხუთე
უცხოელი (ტერორისტი) მებრძოლები

განმარტებები

ეგრეთწოდებული **უცხოელი მებრძოლების** ფენომენი სიახლეს არ წარმოადგენს. ტერმინი პირველად The Times-მა გამოიყენა იმ მებრძოლების მიმართ, რომლებიც საუდის არაბეთიდან, ეგვიპტიდან და პაკისტანიდან ავღანეთში წავიდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მუჯაჰედინთა მხარდასაჭერად (Borum and Fein, 2016). აკადემიურ სამყაროში ამ ფენომენის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მკვლევრის, **დევიდ მალეს** თანახმად, ტერმინი აღნიშნავს "პირს, რომელიც ერთვება იმ ქვეყნის სამოქალაქო კონფლიქტში, რომლის მოქალაქე იგი არ არის" (2013). ისტორიაში მრავლად არის ისეთი სამოქალაქო თუ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რიცხვი, რომლებშიც უცხოელი მებრძოლების ჩართულობა ფიქსირდებოდა. მაგალითად: ესპანეთის სამოქალაქო ომი (1936-1939); ისრაელის და არაბული სახელმწიფოების ომი (1948); 1950-იან წლებში ჩრდილოეთ აფრიკის ანტი-კოლონიური და გამანთავისუფლებელი ომები.

დროთა განმავლობაში გაჩნდა ტერმინის ვარიაციები, რომლებიც კონტექსტიდან გამომდინარე გამოიყენება. მაგალითისთვის, გავრცელებულია - უცხოელი აჯანყებული მებრძოლები, უცხოელი ტერორისტი მებრძოლები, უცხოელი ჯიჰადისტი მებრძოლები, ტრანსნაციონალური მეამბოხეები ან გლობალური მეამბოხეები (Bakker and Singleton, 2016). დღეისათვის, დაეშის რიგებში მებრძოლი უცხოელების მიმართ საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკოსების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამკვიდრებულია ტერმინი **უცხოელი ტერორისტი მებრძოლები**. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ თავად დაეში საერთაშორისო არენაზე კლასიფიცირდება როგორც ტერორისტული ორგანიზაცია და არა მებრძოლი ან აჯანყებული ჯგუფი. შესაბამისად, იმ პირებს, რომლებიც უერთდებიან ტერორისტულ ორგანიზაციას განსაზღვრებაში დაემატათ ტერმინი ტერორისტი. ამ გზით ხდება მათი დიფერენციაცია იმ ადამიანებისგან, რომლებიც უერთდებიან სხვა, მიმდინარე კონფლიქტებს (მაგ. უკრაინა), თუმცა მათი სამიზნე დაჯგუფებები არ კლასიფიცირდება ტერორისტულად.

უცხოელი ტერორისტი მებრძოლები სირია-ერაყის ტერიტორიაზე

სირიაში კონფლიქტის დაწყებამდე მუსლიმი უცხოელი მებრძოლების ყველაზე დიდი კონცენტრაცია 80-იან წლებში, ავღანეთის ომის დროს იყო. სხვადასხვა მონაცემების თანახმად, ამ კონფლიქტმა 20 000 მებრძოლი მიიზიდა (Neumann, 2015) და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ისლამისტი მებრძოლების ტალღას. **აბდულლა იუსუფ აზამის** მეთაურობით დაიწყო თავდაცვითი და თავდასხმითი ჯიჰადის ქადაგება და მოწოდება ავღანელი *მოჯაჰედების* (მუსლიმი მებრძოლი, ჩართული შეიარაღებულ ჯიჰადში) მხარდაჭერისაკენ (Bakker and Singleton, 2016).

დღევანდელმა რაოდენობამ, ცალსახად, ყველა აქამდე არსებულ ციფრს გადააჭარბა. 2014 წელს Soufan Group-მა გამოსცა პირველი კვლევა სირიაში მებრძოლ უცხოელებზე. კვლევის თანახმად, სირიაში 12000-მდე მებრძოლი იყო 81 სახელმწიფოდან. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, 2015 წელს, ეს რიცხვი გაორმაგდა - ამჯერად, დასახელდა 27000-დან 31000-მდე მებრძოლი 86 სახელმწიფოდან. მატება, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შეინიშნებოდა.

ეროვნების თვალსაზრისით, 2015 წლისთვის, ყველაზე მეტი მებრძოლი ტუნისიდან, საუდის არაბეთიდან და იორდანიიდან იყო. კვლევა მიუთითებდა, რომ **ძირითადი მიზანი კონფლიქტში მონაწილეობა იყო და არა წვრთნა სამომავლო ტერორისტული ქმედებებისთვის,** რაც კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი განსხვავებაა დაეშის და ალ-კაიდას მებრძოლებს შორის.

რაოდენობრივად ყველაზე მეტი მებრძოლი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იყო. მეორე ადგილზეა მაღრიბის ქვეყნები. ნიშანდობლივია, რომ რიგით მესამეა დასავლეთ ევროპა, მეოთხე

კი - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები. ასევე, ნათელია, რომ 2014 დან 2015 წლამდე რაოდენობრივი ზრდა დაფიქსირდა უკლებლივ ყველა რეგიონში. ამას გარდა, ჰააგის კონტრ-ტერორიზმის საერთაშორისო ცენტრის (ICCT) 2016 წლის კვლევის თანახმად, რომელიც წევრი სახელმწიფოებიდან მიღებული კითხვარებით იყო ინფორმირებული, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ყველაზე წარმომადგენლობითი იყო კონტიგენტები ბელგიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და გაერთიანებული სამეფოდან. იგივე რეზულტატი აჩვენა Soufan Group-ის 2015 წლის ანგარიშმაც.

უცხოელი მებრძოლების ფენომენის გამომწვევი მიზეზები

და ხელშემწყობი ფაქტორები

ამ მზარდი ტენდენციების გამო, განსაკუთრებით იმატა მეცნიერთა და მკვლევართა ინტერესმა უცხოელ მებრძოლთა ფენომენის, მისი გამომწვევი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური, ასევე საზოგადოებრივ-სტრუქტურული ფაქტორებისა და ხელშემწყობი მიზეზების მიმართ. ამ მხრივ, საინტერესოა, არაერთი ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო კვლევა.

2016 წელს, ბენმელექის და კლორის მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ საინტერესო შედეგი აჩვენა. კვლევაში გამოყენებული იყო Soufan Group-ის 2014 და 2015 წლების ანგარიშებში გამოყენებული მონაცემთა ბაზები. კვლევის შედეგების თანახმად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა არ უწყობს ხელს დაეშში გაწევრიანებას. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მკვლევარებმა დაადგინეს დადებითი კორელაცია დაეშის წევრობას და ქვეყნის მშპ-სა და ადამიანური განვითარების ინდექსს შორის. კერძოდ, უცხოელ მებრძოლთა დიდი ნაწილი წარმოშობით მაღალი ეკონომიკური განვითარების, შემოსავლის უთანასწორობის დაბალი მაჩვენებლის და კარგად განვითარებული პოლიტიკური ინსტიტუციების მქონე ქვეყნებიდანაა. კონტრიბუტორ ფაქტორებად გამოიკვეთა ქვეყნის ჰომოგენურობის ხარისხი და მუსლიმი თემის ზომა. არ დაფიქსირდა კორელაცია ქვეყნის პოლიტიკურ მახასიათებლებს და დაეშის მებრძოლთა რაოდენობას შორის. აღნიშნული კვლევა მაღალი ემპირიული სიზუსტისაა. „ჩვენი რეზულტატები მიუთითებს, რომ ტერორისტული დაჯგუფებების რეკრუტები ახალი ტიპის სახელმწიფოდან არიან: დოვლათიანი, ეთნიკურად და ლინგვისტურად ჰომოგენური (ერთგვაროვანი) ქვეყნები. [...] სხვა კვლევების შედეგების მსგავსად, რეკრუტთა უმრავლესობა რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგიით არის მოტივირებული. ჩვენი ანალიზი მიუთითებს, რომ რაც უფრო ჰომოგენურია მასპინძელი ქვეყანა, მით უფრო რთულია მუსლიმი ემიგრანტების ასიმილაცია“ (Benmelech and Klor, 2016).

მეტნაკლებად იგივე დასკვნამდე მივიდა ნიუ იორკის თავდაცვის უნივერსიტეტის პროფესორის, ელენა პოკალოვას, 2018 წლის რაოდენობრივი კვლევაც. ამ კვლევის თანახმად, მებრძოლთა უმრავლესობა ადამიანური განვითარების ინდექსის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებიდან არიან. ამავე კვლევის თანახმად, მაღალია მებრძოლთა რაოდენობა იმ ქვეყნებიდან, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია და დიდია ახალგაზრდების რაოდენობა. ბენმელექის და კლორის კვლევის მსგავსად, პოკალოვას კვლევამაც აჩვენა, რომ ქვეყანაში მუსლიმი თემის მაღალი რაოდენობა მებრძოლთა დიდ რაოდენობასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, პოკალოვას კვლევამ დაადგინა, რომ ისეთ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია (majority Muslim country), რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნება მაღალია, კორელაცია მებრძოლთა რაოდენობასთან ნეგატიურია. საწინააღმდეგოა შედეგი ისეთ ქვეყნებში სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმი არ არის (majority non-Muslim) - ამ შემთხვევაში კორელაცია პოზიტიურია. პოკალოვას კვლევის თანახმად, ასევე არსებობს კავშირი ინტერნეტის მაღალი დაფარვის ქვეყნებსა და მებრძოლთა რაოდენობას შორის.

ICCT-ის კვლევის თანახმად, რომელიც ევროკავშირის გეოგრაფიულ არეალზეა ფოკუსირებული, მებრძოლთა 17% ქალია. ასევე, ხშირად, მებრძოლები ერთი და იგივე უბნიდან არიან, რაც კლასტერულ რადიკალიზაციაზე მიუთითებს.

ინფორმაციულია ამერიკის შეერთებული შტატების, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ექსტრემიზმის პროგრამის მკვლევარების 2018 წლის ანგარიში, რომელიც სირიასა და ერაყში ამერიკელი ჯიჰადისტების გამგზავრების ტენდენციებს შეეხება. როგორც სხვა, მრავალი კვლევა, აღნიშნული ანგარიშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ არსებობს საბრძოლოდ მიმავალთა ერთიანი პროფილი, თუმცა შესაძლოა ზოგადი ტრენდების გამოყოფა. აღნიშნული კვლევის თანახმად, რომლის საკვლევი ობიექტიც ა.შ.შ-ის მოქალაქეები იყვნენ, გამგზავრებულთა უმეტესობა მამრობითი სქესისაა, მათი საშუალო ასაკი კი 27 წელია. გამგზავრების მოტივატორებისა და გამგზავრების მეთოდების გათვალისწინებით, ასევე ჯიჰადისტურ დაჯგუფებაში დაკისრებული როლების მიხედვით, ამერიკელი ჯიჰადისტები დაჯგუფდნენ სამ კატეგორიად: *პიონერები, ქსელური* და *მარტოხელა.*

პიონერები სირიასა და ერაყში ადრეულ პერიოდში ჩავიდნენ და შესაბამის დაჯგუფებებში მოწინავე პოზიციებამდე ავიდნენ. ამ კატეგორიაში შემავალი მებრძოლები გამოირჩევიან წარსულში საბრძოლო გამოცდილებითა და იმ კრიტიკული მნიშვნელობის უნარებით, რომლებიც ჯიჰადისტური დაჯგუფებებისთვის არის აუცილებელი (სამხედრო წვრთნა, რელიგიური დოქტრინის სიღრმისეული ცოდნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობა, ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება-მართვის უნარი და სხვა).

ქსელურად გამგზავრებულები იყენებდნენ პირად კავშირებს გადაადგილების უზრუნველსაყოფად. ამ ჯგუფში შეყვანილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათესაური ან/და მეგობრული კავშირით გაერთიანებულ პირთა ჯგუფი ერთად გაემგზავრა კონფლიქტის ზონაში. ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 12 პირისგან.

მარტოხელა მოგზაურები ნაცნობების ხელშეწყობის გარეშე გადაადგილდებიან. ხელშემწყობი კავშირების უქონლობის მიუხედავად, ისინი წარმატებით ახერხებენ სირია-ერაყის ტერიტორიაზე მოხვედრას დაკავების გარეშე. ამ კავშირების მაგივრად, აღნიშნულ კატეგორიაში მყოფი პირები, ხშირად მიმართავენ ინტერნეტში ვირტუალურ კავშირებს, რომლებიც ეხმარებიან როგორც გადაწყვეტილების მიღებაში, ისე მგზავრობის უზრუნველყოფაში.

ჯეიმს როზნოს 1964 წლის ანალიზის თანახმად, სამოქალაქო კონფლიქტმა შესაძლოა მოიზიდოს უცხოელი მებრძოლები, თუ/როცა ადგილობრივი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი, ნარატივის თვალსაზრისით, უფრო გლობალური ბრძოლის ჩარჩოშია მოქცეული და წარმოჩინდება, როგორც იდენტობის ან იდეოლოგიისთვის ბრძოლის ნაწილი. ამავეს ადასტურებს დევიდ მალეს ნაშრომებიც. მაშასადამე, უცხოელი მებრძოლების მამოტივირებელია არა ადგილობრივი კონფლიქტი, როგორც ასეთი, არამედ ის, რასაც აღნიშნული კონფლიქტი შეიძლება წარმოადგენდეს დიდი, „მთავარი“ ბრძოლისთვის.

ამასთანავე, „გლობალიზაციამ ხელი შეუწყო კონფლიქტის ტრანსნაციონალიზაციას“ (Borum and Fein, 2016:253). გამარტივებულია ტრანსპორტირება და საზღვრების კვეთა, პოტენციური აუდიტორიისთვის ბევრად უფრო ხელმისაწვდომია სხვადასხვა რადიკალური დაჯგუფებების პროპაგანდისტული მასალა და პირადი კომუნიკაციაც შესაძლებელი და უსაფრთხოა. მაშასადამე, თუ როზნოს და მალეს ანალიზი სწორია, გლობალიზაციის ტრენდების გათვალისწინებით, მოსალოდნელია უცხოელ მებრძოლთა ნაკადების ზრდა კონფლიქტის კერებში.

კლინტონ უოტსი მიიჩნევს, რომ დაეშის ტიპის ორგანიზაციებში რეკრუტირების ორი „არასრულყოფილი“ მოდელი არსებობს: Top Down (ზევიდან ქვევით) და Bottom up (ქვევიდან ზევით). პირველ შემთხვევაში, ორგანიზაცია/დაჯგუფება თავად პოულობს პოტენციურ მებრძოლს და თავად უწყობს ხელს ან უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებას და ბრძოლაში ჩართვისთვის საჭირო ყველა დეტალს. მეორე შემთხვევაში, ადამიანი თავად ივითარებს ინტერესს დაჯგუფების მიმართ და შემდეგ უზრუნველყოფს საკუთარ ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში. ამ თვალსაზრისით, მრავალნაირი მოტივაცია არსებობს და რთულია, ცალსახად, იმის თქმა ,თუ რატომ უერთდებოდნენ უცხოელები დაეშს. ტომას პრეხტი (2007) მსგავსი ტიპის კონფლიქტში ნებაყოფლობით ჩართვის სამი ტიპის ფაქტორს გამოყოფს: **წინარე ფაქტორები** (background factors)

- მოიცავს იდენტობის კრიზისის და მისი ძიების პირად გამოცდილებას; **ბიძგის ფაქტორები** (trigger factors) - აქტივიზმის მაპროვოცირებელი მოვლენები და შთამაგონებელი პირები; **შესაძლებლობებთან დაკავშირებული ფაქტორები** (opportunity factors) - მოიცავს ადამიანის წვდომას ისეთ ფიზიკურ და კიბერ სივრცეებზე, სადაც იზრდება მათი ცნობიერება კონფლიქტის მხარეების ნარატივების შესახებ.

2014 წელს ჩატარებული, ერთ-ერთი, კვლევის თანახმად (Rand and Vassalo, 2014), დადგინდა 4 მიზეზი, რომლის გამოც ადამიანები დაეშს უერთდებიან:

1. რწმენა, რომ სახალიფოს შექმნისთვის ბრძოლა დასავლეთის და შიიტების წინააღმდეგ სუნიტების გრძელვადიანი ბრძოლის ნაწილია;
2. რწმენა, რომ სირიაში უმმა აწარმოებს თავდაცვით ბრძოლას მკრეხელი რეჟიმის წინააღმდეგ;
3. აღშფოთება, რეჟიმის მიერ გამოვლენილ სისასტიკესა და ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების წინააღმდეგ, რომელსაც წინ არ აღუდგა დასავლეთი;
4. ავანტიურიზმის გარკვეული გამოხატულება.

ამ მხრივ, განსაკუთრებული შესწავლის ობიექტი უნდა იყვნენ ის ქალები, რომლებიც სხვადასხვა დროს შეუერთდნენ დაეშს. ტრადიციულად, მიიჩნევა, რომ ქალები იძულებით ან უბრალოდ მეუღლეების მხარდაჭერის მიზნით მიემართებოდნენ თვითგამოცხადებული სახალიფოს ტერიტორიაზე. გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ქალები სახალიფოში მხოლოდ შვილების აღზრდის და მებრძოლების მოვლით იყვნენ დაკავებული. აღნიშნული, მხოლოდ, გარკვეულ წილად შეესაბამება სიმართლეს. ქალებს მართლაც ეკისრებოდათ შვილების აღზრდის მოვალეობა, თუმცა აქ უფრო მეტი მოიაზრება, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური აღზრდა. ქალს, როგორც პირველი რიგის მომვლელს, ეკისრებოდა ბავშვის ინდოქტრინაცია და დაეშის იდეებიზე აღზრდა. ამასთან, როგორც კონფლიქტის ზონაში, ისე მის ფარგლებს მიღმა, ქალები დაკავებული იყვნენ მებრძოლებისთვის პოტენციური ცოლების მოძიებით, მათი ინდოქტრინაციითა და რეკრუტირებით. ასევე, ცნობილია დაეშის ე.წ. **ხანსაას ბრიგადის** შესახებ, რომელიც რელიგიური პოლიციის ქალებით დაკომპლექტებული ერთეული იყო. ხანსას ბრიგადა 2014 წელს მაროკოელმა ფათიჰა მეჯადიმ დააარსა. ქვედანაყოფი რაქასა და მოსულში ოპერირებდა. ხანსას ბრიგადას მორალის პოლიციასაც ეძახდნენ და მასში არსებული ქალები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ დაეშის მიერ დამკვიდრებული ქცევის წესების დაცვაში (Kafanov, 2016). 2017 წელს დაეშმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა, როდესაც ქალებს მოუწოდა ჩართულიყვნენ საბრძოლო მოქმედებებსა და ტერორისტულ აქტივობაში. გამოქვეყნებულ განცხადებაში იკითხებოდა: „დღეს, ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ომის პირობებში, საჭირო ხდება, რომ მუსლიმმა ქალებმა მუჯაჰედინთა მხარდაჭერის ვალდებულება ყველა ფრონტზე შეასრულონ“. ამ განცხადებით დაეში მოუწოდებდა ქალებს ფიზიკური ჯიჰადის წარმოებაში ჩართვისკენ.

2019 წლის დეკემბრისთვის, დაეშის ბედი გაურკვეველია - მორღვეულია მისი ტერიტორიული ერთეული და მოკლულია მისი ლიდერი ალ ბაღდადი, სირიასა და ერაყში დაკავებულია დაჯგუფების ათასობით მებრძოლი და მათი ოჯახის წევრები. დაკავებულთა დიდ ნაწილს ქალები და ბავშვები წარმოადგენენ. თავის მხრივ, ამ უკანასკნელთა დიდი ნაწილი უცხო ქვეყნის მოქალაქეა და გაურკვეველია მათი მოქალაქეობის სახელმწიფოებში რეპატრიაციის საკითხი. რადიკალიზაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICSR) 2019 წლის პუბლიკაციის თანახმად, 2019 წლის ივლისისთვის მოქალაქეობის ქვეყნებში დაბრუნებულია 609 ქალი, თუმცა მონაცემი მხოლოდ ოფიციალურად აღნიშნულ პირებს მოიცავს და მიიჩნევა, რომ რეალური ციფრი უფრო მაღალია. დაეშთან აფილირებულ ქალებთან სახელმწიფოებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, რუსეთის ფედერაცია 2017 წლამდე აქტიურად ცდილობდა მათ რეპატრიაციას, თუმცა ისლამისტურ ექსტრემიზმში ქალების ჩართულობის წარსული გამოცდილების მიზეზით (ჩეჩენი „შავი ქვრივები“), აღნიშნული პროცესი შეჩერდა. აშშ და გაერთიანებული სამეფო, ხშირად, მოქალაქეობის ჩამორთმევის გზას ირჩევს (შამაიმა ბეგამი და ჰოდა მუთანას შემთხვევები). საფრანგეთმა 2019 წლისთვის 107 არასრულწლოვანი დააბრუნა

ქვეყანაში, თუმცა მათი დედები კონფლიქტის ზონაში დატოვეს და არ მისცეს დაბრუნების უფლება. არაერთგვაროვანი პოლიტიკა ორი ფაქტორით აიხსნება. პირველ რიგში დიდ სირთულეს წარმოადგენს დაეშის მმართველობის ქვეშ გადატებულ დროს ხსენებულ ქალთა ქმედებების შესახებ მტკიცებულებების მოძიება. გარდა კონფლიქტის ზონაში გამოძიების წარმოების სტანდარტული სირთულეებისა, ნაკლებად მოიპოვება ქალების ჩართულობის ამსახველი მასალა, რაც ერთიორად ართულებს შესაბამისი პოლიტიკის დასხვისა და გატარების პროცესს. აქედან გამომდინარეობს მეორე ფაქტორიც: რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად წარმოადგენენ ქალები რისკს უსაფრთხოებისთვის.

*

როგორც აღინიშნა, 2019 წლის დეკემბრისთვის რთულია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ განვითარდება დაეში სამომავლოდ.

პრაქტიკული თვალსაზრისით, დაეში არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის შესაძლებლობებიც, გარკვეულ დროს, ზოგიერთი სახელმწიფოსას აჭარბებდა. რა შეიძლება მოხდეს ასეთ ვითარებაში?

1. დაეში კვლავ გააგრძელებს რეგიონში სექტარიანული დაყოფისა და მმართველობის ხარვეზების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ზემოღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ ის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებმმაც დაეშის აღზევების წინაპირობა შექმნეს, კვლავ არსებობს და ქმნის ნოყიერ ნიადაგს ძალადობრივი ექსტრემიზმის სამომავლო გაღვივებისთვის. ამ ფაქტორებთან გამკლავება, უმთავრესად, ადგილობრივმა აქტორებმა უნდა მოახერხონ.

2. ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ, დაეში, კიდევ უფრო მიუახლოვდა ე.წ. insurgency - ს ანუ არაპროპორციული ომისთვის მახასიათებელი მეამბოხე დაჯგუფების სტატუსს. სირიასა და ერაყში, შეგვიძლია, ველოდოთ პარტიზანული, ე.წ. გერილა ტაქტიკის გააქტიურებას. აღნიშნულს მოწმობს დამარცხების გამოცხადებიდან სამ დღეში, ქურთულ ძალებზე განახორციელებული თავდასხმა მანჯიბში, რომელმაც 7 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ერაყში დაეში წლების მანძილზე ფუნქციონირებს ფარული ქსელის სახით. იგი განსაკუთრებით ოპერირებს ისეთ მიუვალ ადგილებში, როგორებიცაა ანბარისა და ნინევიას პროვინციები. სავარაუდოა, რომ სირიაშიც მსგავსი სცენარი განვითარდება. აღნიშნულს მოწმობს გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება დაეშისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ და 2019 წლის თებერვალში, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დაეშს კვლავ შესწევს საბრძოლო მოქმედებების წარმოების უნარი.

3. სირიასა და ერაყში დაეშის ასობით მებრძოლია პატიმრობაში. ისინი დიდ გამოწვევას წარმოადგენენ ადგილობრივი მთავრობებისთვის, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: 1. უცხოელი, ისევე როგორც ადგილობრივი მებრძოლები, არიან ადამიანები, რომლებისთვისაც, როგორც მინიმუმ, ძალადობა მისაღებია, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება და როგორც მაქსიმუმ, არიან ომის/სამხედრო დამნაშავეები. 2. ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ამ პირთა მიმართ მოპყრობა დიდი ალბათობით გააჩენს შეკითხვებს ადამიანის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით, რაც რეგიონისთვის უკვე მახასიათებელი სექტარიანული დანაწევრებისა და შუღლის გათვალისწინებით, შესაძლოა პრობლემური გახდეს ცენტრალური ხელისუფლებებისთვის.

4. დაეშმა ეფექტიანად მოახერხა გაფართოება, როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, რაც უსაფრთხოების უკიდურესად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, მაგალითად ფილიპინებში, ბურკინა ფასოში, ლიბიასა და ავღანეთში. ფილიპინებში დაეშს რეკრუტირების პირველი ტალღა 2016 წელს ჰქონდა. ამჟამად, მებრძოლები დისლოცირებული

არიან მინდანაოს კუნძულზე, სადაც გაუვალი ტერიტორია და სუსტი საპოლიციო ზედამხედველობა არსებობის, წვრთნისა და რეკრუტირებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ლიბიაში დაეში აქტიურად იყენებს ძალაუფლების ფრაგმენტაციას და ახორციელებს თავდასხმებს მშვიდობიან მოქალაქეებზე. ხოლო ავღანეთში, ISIS Khorasan (IK) დღესაც ებრძვის ავღანეთის სახელმწიფო ჯარს, თალიბანსა და ალ-ქაიდას. სავარაუდოა, რომ ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს, დაეში სათავისოდ გამოიყენებს, და ამ პროცესში თალიბანის ჩართულობით იმედგაცრუელბულ მხარდამჭერებს გადაიბირებს. სხვა მებრძოლები მიმოფანტულნი არიან მსოფლიოში და სახალიფოს აღდგენის სურვილიც მუდამ იარსებებს, რაც მიუთითებს, რომ სამომავლოდ შესაძლოა ბრძოლა სხვა ტერიტორიაზე გაჩაღდეს.

5. დაეში ყოველთვის ახერხებდა ბრძოლის ველის საჭიროებებთან ადაპტირებას. ამის ნათელი მაგალითია დაჯგუფების შეცვლილი მიდგომა ქალების მიმართ - დაეშმა ეტაპობრივად გაზარდა საბრძოლო პოზიციებზე ქალების ჩართულობა, რაც რიგი სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკისთვის კვლავ აუთვისებელ გამოწვევად რჩება. დაეშის მეინსტრიმულ იდეოლოგიაში ქალები ყოველთვის აღიქმებოდნენ, როგორც მომავალი მებრძოლების აღმზრდელებად. ცხოვრებაში, ისევე როგორც ომში, მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მამაკაცების მხარდაჭერა და ბავშვების აღზრდა. ტრადიციულად, ბრძოლის ველზე ქალების ადგილი არ იყო. თუმცა, დაეშმა ნათლად დაინახა თავისი მოწინააღმდეგეების უსაფრთხოების პოლიტიკის ნაკლოვანება და პირველად, 2017 წელს, აქტიურად მოუწოდებდა ქალებს, ჩართულიყვნენ ტერორისტულ საქმიანობაში. მას შემდეგ, დაეშმა არაერთხელ გამოიყენა ქალი მებრძოლები სხვადასხვა პოზიციებზე. მოსალოდნელია დაჯგუფების მიერ ამ რესურსის უფრო აქტიური გამოყენება.

6. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ დაეში ყოველთვის კარგად იყენებდა სოციალურ მედიას, როგორც პროპაგანდისტული მიზნებისთვის, ისე კომუნიკაციისთვის. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება სრული დაშიფრვის საკომუნიკაციო პლატფორმები. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ მექანიზმს დაჯგუფება გააქტიურებს, როგორც ლოიალურ ბაზასთან საკონტაქტოდ, ისე დამატებითი მხარდაჭერების მოზიდვისა და შემდგომი ქმედებების კოორდინაციის მიზნით.

ბიბლიოგრაფია

Abuza, Zachary. "Joining the new caravan: ISIS and the regeneration of terrorism in Southeast Asia." *US Army War College Strategic Studies Institute* (2015): 1-29.

Arango, Tim and Eric Schmitt Escaped Inmates from Iraq Fuel Syrian Insurgency. New York Times, February 12, 2014 https://www.nytimes.com/2014/02/13/world/middleeast/escaped-inmates-from-iraq-fuel-syria-insurgency.html

Bakker, Edwin, and Mark Singleton. "Foreign fighters in the Syria and Iraq conflict: Statistics and characteristics of a rapidly growing phenomenon." *Foreign Fighters under International Law and Beyond*. TMC Asser Press, The Hague, 2016. 9-25.

Bakker, Edwin, Seran De Leede, and ICCT Background Note. "European female Jihadists in Syria: exploring an under-researched topic." *ICCT Background Note* (2015).

Barfi, Barak "The Military Doctrine of the Islamic State and the Limits of the Ba'athist Influence". *CTCSentinel,* Volume 9, Issue 2 (2016): 18-23.

Barrett, Richard, et al. "Foreign fighters: An updated assessment of the flow of foreign fighters into Syria and Iraq." *The Soufan Group* 4 (2015).

Barrett, Richard. *Foreign fighters in Syria*. Soufan Group, 2014.

Barrett, Richard. *The Islamic State*. Soufan Group, 2014.

Benmelech, Efraim, and Esteban F. Klor. "What Explains the Flow of Foreign Fighters to ISIS?." *Terrorism and Political Violence* (2018): 1-24.

Borum, Randy, and Robert Fein. "The psychology of foreign fighters." *Studies in Conflict & Terrorism* 40.3 (2017): 248-266.

Byman, Daniel, and Zack Gold. "The Salafi Awakening." *The National Interest* 120 (2012): 27-37.

Cook, Joana, and Gina Vale. "From Daesh to 'Diaspora'II: The Challenges Posed by Women and Minors After the Fall of the Caliphate." Combating Terrorism Center Sentinel 12.6 (2019): 30-45.

Dawson, Lorne L., and Amarnath Amarasingam. "Talking to foreign fighters: Insights into the motivations for Hijrah to Syria and Iraq." *Studies in Conflict & Terrorism* 40.3 (2017): 191-210.

Dearden, Lizzie. “How Isis attracts women and girls from Europe with false offer of 'empowerment'”. The Independent. August 5, 2017. https://www.independent.co.uk/news/world/europe/isis-jihadi-brides-islamic-state-women-girls-europe-british-radicalisation-recruitment-report-a7878681.html

Dearden, Lizzie. “Isis calls on women to fight and launch terror attacks for first time”. The Independent. October 6, 2017. https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/isis-war-syria-iraq-women-call-to-arms-islamic-state-terror-attacks-propaganda-change-ban-frontline-a7986986.html

Dubin, Rhys ISIS 2.0 Is Really Just the Original ISIS, Foreign Policy, April 3, 2018
Duderija, Adis. "Islamic groups and their world-views and identities: Neo-Traditional Salafis and Progressive Muslims." *Arab Law Quarterly* 21.4 (2007): 341-363.

Farwell, James P. "The media strategy of ISIS." *Survival* 56.6 (2014): 49-55.

Gates, Scott, and Sukanya Podder. "Social media, recruitment, allegiance and the Islamic State." *Perspectives on Terrorism* 9.4 (2015).

Halverson, Jeffry, Steven Corman, and H. Lloyd Goodall. *Master narratives of Islamist extremism*. Springer, 2011.

Hamza Hendawi, Qassim Abdul-Zahra, and Bassem Mroue “Inside ISIS Battle Strategy, Use of Special Forces,” Associated Press, July 8, 2015.

Hassan, Hassan. "The battle for Raqqa and the challenges after liberation." CTC Sentinel 10.7 (2017): 1-10.

Hendawi Hamza, Qassim Abdul-Zahra, and Bassem Mroue “Inside ISIS Battle Strategy, Use of Special Forces,” *Associated Press*, July 8, 2015.

Ingram, Haroro J. "The strategic logic of Islamic State information operations." *Australian Journal of International Affairs* 69.6 (2015): 729-752.

ISIS supporters are using iTunes vouchers to fund the terror group, Daily Mail, 2018
https://www.dailymail.co.uk/news/article-5828955/ISIS-supporters-using-iTunes-vouchers-fund-terror-group.html

Kafanov, Lucy How All-Female ISIS Morality Police 'Khansaa Brigade' Terrorized Mosul November NBC News 20, 2016 https://www.nbcnews.com/storyline/isis-uncovered/how-all-female-isis-morality-police-khansaa-brigade-terrorized-mosul-n685926

Maher, Shiraz. *Salafi-Jihadism: The history of an idea*. Oxford University Press, 2016.

Mahood, Samantha, and Halim Rane. "Islamist narratives in ISIS recruitment propaganda." *The Journal of International Communication* 23.1 (2017): 15-35.

Malet, David. "Foreign Fighter Mobilization and Persistence in a Global Context." *Terrorism and Political Violence* 27.3 (2015): 454-473.

Malet, David. *Foreign fighters: Transnational identity in civil conflicts*. Oxford University Press, 2013.

Milton, Daniel, and Don Rassler, “Minor Misery: What an Islamic State Registry Says About The Challenge of Minors in the Conflict Zone”. Harmony Program, Combating Terrorism Center at West Point. 2019.

Mironova, Vera. “Is the Future of ISIS Female?”. The New York Times. February 20, 2019. https://www.nytimes.com/2019/02/20/opinion/islamic-state-female-fighters.html

Neumann, Peter “Foreign fighter total in Syria/Iraq now exceeds 20,000; surpasses Afghanistan conflict in the 1980s’’, ICSR, Department of War Studies, King’s College London, 2015, http://icsr.info/2015/01/foreign-fighter-total-syriairaq-now-exceeds-20000-surpasses- afghanistan-conflict-1980s.

Pokalova, Elena. "Driving factors behind foreign fighters in Syria and Iraq." *Studies in Conflict & Terrorism* 42.9 (2019): 798-818.

Precht, Tomas. "Homegrown terrorism and Islamist radicalisation in Europe: From conversion to terrorism." *Danish Ministry of Defense* (2007).

Ramadan, Tariq. *Islam: the essentials*. Penguin UK, 2017.

Rand, Dafna, and Anthony Vassalo. *Bringing the Fight Back Home: Western Foreign Fighters in Iraq and Syria*. Center for a New American Security, 2014.

Schmid, Alex P. "Challenging the narrative of the Islamic State." *The Hague: International Centre for Counter-Terrorism*(2015): 1-19.

Sorenson, David S. "Priming strategic communications: Countering the appeal of ISIS." *Parameters* 44.3 (2014): 25.

Stern, Jessica and J. M. Berger. ISIS: The State of Terror. New York: Ecco= HarperCollins Publishers, 2015. 385 pp., $27.99 paperback. ISBN: 978-0-06- 239552-2.

Watts, Clinton. "Foreign Fighters: How Are They Being Recruited? Two Imperfect Recruitment Models." *Small Wars Journal* 22 (2008).

Wiktorowicz, Quintan. "A genealogy of radical Islam." *Studies in Conflict & Terrorism* 28.2 (2005): 75-97.

Wiktorowicz, Quintan. "Anatomy of the Salafi movement." *Studies in Conflict & Terrorism* 29.3 (2006): 207-239.